ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 12 თებერვალი, 2019 №35 (7890) ფასი: 60 თეთრი

ხელისუფლება საკაშვილის აქტიურობით შეშინებულია

გვ.4

გია ნოდია: „ალტერნატიული ან ჩრდილოვანი კაბინეტები ძალიან ბევრ ქვეყანაში იქმნება. ამაში არაფერი განსაკუთრებული ან არაბუნებრივი და არანორმალური არ არის“

12 თებერვლიდან

სულხან საბა ორბელიანი

სიბრძნე სიცრუისა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ირმა ინაშვილი: „დამნიშნეთ მთავარ პროკურორად და საკაშვილს დავიჭერ“

გვ.3

გვ.2

„ვადამდელ არჩევნებს თავად ივანიშვილი დანიშნავს“

მურმან დუმბაძე: „ოცნების“ ლიდერს ეულად დარჩენილი სააკაშვილის ჩრდილისაც კი ეშინია“

„ირაკლი კობახიძე არის უბრალო თოჯინა“

„ახლა უნდა ბესელიას დაგვაჯერონ, რომ პრინციპული ადამიანი გახდა?!“



გვ.3

„ბიძინა ივანიშვილი დავით ბაქრაძეს შეჰყავს შეცდომაში“

გვ.5

გვ.4

ირაკლი ალადაშვილი: „პუტინი ელოდება, რომ საქართველომ საოკუპაციო ზოლთან ტანკები დააყენოს“

აგვისტოს ომის შემდეგ ზოგიერთი ახლანდელი ოპოზიციონერი დასასჯელი იყო

სამართალი გვ.7

ქურდული გარჩევა სკაიპით

სამშენებლო კომპანია „აპოლოს“ ხელმძღვანელს კრიმინალები ფულს სძალავდნენ

ვალერი ირემაძე ფსიქიატრიულში გადაიყვანეს

„ის ამბობდა, რომ გარესამყაროსგან იღებდა აბსურდულ დავალებებს“



ყოფილი ცოლი ზურგში დაჭრა და მიიმალა

რა მოხდა ელიავას ბაზრობაზე

ეკონომიკა გვ.6

„საქართველოს ტერიტორიების მყარი დაცვის ერთადერთი გარანტია მათი კერძო საკუთრებად ქცევაა“

რომან კაკულია: „ანტიდემპინგურ კანონს აქვს ორი დატვირთვა — ეკონომიკური და პოლიტიკური“

სოციალურმა მუშაკებმა სისტემური ცვლილებების მოთხოვნით ჯანდაცვის სამინისტროს წერილით მიმართეს

ISSN 1987-9385

3 2018 წელს ბანკებმა მოსახლეობისგან ჯარიმებით 84 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს

4 თბილისის ბაგა-ბაღებში გაზგაყვანილობის სისტემა კიდევ ერთხელ შემოწმდება

5 როგორ აიღო სესხი ისე, რომ არ დაკარგო ქონება

3 „2018 წლის მე-2 ნახევრიდან ვადაგადაცილებული სესხების წილი გაზრდილია“

„ვადამდელ არჩევნებს თავად ივანიშვილი დანიშნავს“

მურმან დუმბაძე: „ოცნების“ ლიდერს ეულად დარჩენილი სააკაშვილის ჩრდილისაც კი ეშინია“

შორენა მარსაგიშვილი

როგორ გააოცა „ოცნების“ ლიდერმა ევროპა, რას ემსახურებოდა ლიეჟში სპექტაკლი, რატომ წავა ივანიშვილი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი **მურმან დუმბაძე** ესაუბრება.

– ლიეჟში მოწყობილი დებოშით ქართველებმა ევროპა ნამდვილად გავაოცეთ, მაგრამ რამდენად ევროპული იყო ეს ყველაფერი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მომხდარით ძალიან კმაყოფილია.

– ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილმა განაცხადა, ისეთ დემოკრატიას დავამყარებთ, ევროპასაც კი გაუკვირდებაო. იმით, რაც ბელგიაში მოხდა, ივანიშვილმა ევროპა ნამდვილად გააოცა.

ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, რა შუაშია აქ ივანიშვილი, სააკაშვილის მომხრეებს ქართველებმა თავისი ინიციატივით მოუწყვეს ეს ყველაფერიო. ეს ასე არაა და ახლავე გეტყვით რატომაც. ლიეჟში გამოჩნდა „ქართული ოცნების“ კუთვნილი პლაკატი – არა ნაცებს.

ეს პლაკატები, ბილბორდების სახით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გამოფინა მმართველმა პარტიამ. საინტერესოა რანაირად მოხვდა „ოცნების“ კუთვნილი პლაკატები კერძო პირების ხელში.

ასევე საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. რამდენად სწორია სამართლებრივად სხვა ქვეყანაში, სასამართლოს ნებართვის გარეშე თვალთვალი. სააკაშვილი თუ დასაჭერია, იქ იყო, ლიეჟში დაეკავებინათ და ჩამოეყვანათ საქართველოში.

ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ მისი პოლიტიკური კარიერა ფაქტიურად დასრულებულია. აქედან გამომდინარე ისე იქცევა, როგორც მისი წინამორბედები იქცეოდნენ.

– რას გულისხმობთ?

– იგივე შეცდომებს უშვებს, რასაც სააკაშვილი, შევარდნაძე და აბაშიძე უშვებდნენ. აშკარაა, რომ ქართველებს სხვის შეცდომებზე სწავლა არ შეგვიძლია.

მინდა ისევ ლიეჟს დავუბრუნდე. მოდით ვნახოთ, რა ხდებოდა ამ პატარა ქალაქში. მიხეილ სააკაშვილი იქ თავის მხარდამჭერებთან გეგმავდა შეხვედრას. ეს შეხვედრა მან რამდენიმე კვირით ადრე, საჯაროდ დააანონსა.

ჩემი აზრით, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა უგუნური გადაწყვეტილება მიიღეს, როცა ამ შეხვედრის ჩაშლა დაგეგმეს.

ამ ყველაფერს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვიღაცები წერენ, რომ მესამე პრეზიდენტმა ვერ შეძლო მხარდამჭერების მობილიზება და ძალიან ცოტა ხალხი მივიდა მასთან შეხვედრაზე.

– ხალხის სიმცირეს მართლაც ხაზს უსვამენ და ამაზე იცინიან, მაგრამ თუ სასაცილო იყო ეს ყველაფერი, რაღას მიავლინეს შუაგულ ევროპაში ზონდერები.

– ამათი ლოგიკით, ხალხის რაოდენობა ყოფილა გადამწყვეტი. თუ ასეა, მაშინ რატომ შეეშინდათ? მინდა პირდაპირ ვთქვა, რომ ივანიშვილს ეულად დარჩენილი სააკაშვილის ჩრდილისაც კი ეშინია.

„ირაკლი კობახიძე არის უბრალო თოჯინა“

2018 წლის 28 ოქტომბერმა გამოაჩინა, რომ საქართველოს მოსახლეობის 60-65%ს მოქმედი ხელისუფლება აღარ უნდა. ის რაც მეორე ტურში მოხდა, ეს უფრო სამართლებრივი საკითხია, ვიდრე მორალური.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს აღარ უნდა ეს ხელისუფლება. საზოგადოების ამ ნაწილის უმრავლესობას კი ნაციონალების დაბრუნება უნდა.

ივანიშვილი უნიჭო კაცი არაა და ხვდება, რომ მისი ხელისუფლება დასასრულისკენ მიდის. ახლა ყველაფერს აკეთებს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დრო გაიხანგრძლივოს. საამისოდ ახალს არაფერს აკეთებს. მისი ზონდერები ისევე უვარდებიან ოპოზიციას შეხვედრებზე, როგორც ჩვენ გვივარდებოდნენ სააკაშვილის კუნთმაგარი ბიჭები, როცა ოპოზიციაში ვიყავით.

ახლა ევროპაში მოწყობილი კორცხელით ხარობენ, მაგრამ ძალიან ცუდად არიან. „ქართულმა ოცნებამ“ დაშლა დაიწყო და ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს. მმართველ პარტიაში ძალიან დიდი ამბებია და რატომღაც მგონია, რომ ივანიშვილი თავად დანიშნავს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს.

– თავად რატომ დანიშნავს, მოსწყინდა ეს აურზაური?

– იმიტომ დანიშნავს, რომ გუნდის შიგნით უამრავი მოწინააღმდეგე გაუჩნდება. მას ურჩევნია მაშინ დანიშნოს არჩევნები, როცა გაცილებით ნაკლები მოწინააღმდეგე ეყოლება.

2008 წლის 5 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. 2007 წლის 7 ნოემბერმა კარგად აჩვენა, რომ დღის წესრიგში მისი ლეგიტიმაციის საკითხი იდგა. ამიტომაც ხელახლა იყარა კენჭი და ხალხისგან ახალი ძალა მიიღო. ძალაუფლების წყარო ყოველთვის ხალხია.

ბიძინა ივანიშვილსაც სჭირდება ეს ძალა. ის ძალა, რომელიც მან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებით მიიღო, აშკარად გამოლეულია. საჭიროა ახალი ძალა. მას გუნდის წევრების ნაწილიც აუჯანყდა. აჯანყებული მეოცნებეების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

დარწმუნებული ვარ, საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი ლიეჟში მოწყობილ პროვოკაციაზე იტყვის, რომ ეს იყო სიგიჟე და სისულელე.

პოლიტიკურ ოპონენტებს შეხვედრებს აბაშიძე და სააკაშვილი უშლიდნენ, ის ვინც ამ მეთოდს იყენებდა, ყოველთვის მარცხდებოდა. ივანიშვილიც დამარცხდება. ის დამარცხების გზაზე უკვე კარგა ხანია რაც დგას.

– ამბობთ, უმრავლესობაში ლიეჟის ინციდენტს ბევრი დაგმობსო. პარლამენტის თავმჯდომარე მომხდარით აღფრთოვანებულია.

– როცა უმრავლესობის წევრებზე ვსაუბრობდი, ირაკლი კობახიძე არც მყოლია მხედველობაში.

– რატომ? კაცი პარლამენტის თავმჯდომარეა.

– პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე ზის მხოლოდ, როგორც კი ამ თანამდებობიდან წავა, ის არავის არ ემახსოვრება.

ეს ყმაწვილი ამ თანამდებობაზე ივანიშვილმა დასვა. ის არ არის დამოუკიდებელი ფიგურა. იმისთვის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე გახდე, პოლიტიკაში რაღაც უნდა გქონდეს გაკეთებული.

მოდით გავიხსენოთ, როგორი პარლამენტის თავმჯდომარეები ჰყავდა საქართველოს. პარლამენტის თავმჯდომარე იყო ნინო ბურჯანაძე, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური წონა ჰქონდა. პარლამენტის თავმჯდომარე იყო დავით უსუფაშვილი, რომელსაც ასევე ჰქონდა თავისი პოლიტიკური წონა.

იგივე შეიძლება ვთქვათ ზურაბ ჟვანიაზეც. ადამიანი 14 წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ პოლიტიკურ წონას დღემდე ინარჩუნებს.

დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე არის უბრალო თოჯინა. ის ვერც პოლიტიკოსად ვერ იქცევა და ვერც ლიდერად, თანამდებობა ლიდერს არ ქმნის, თანამდებობა ლიდერმა უნდა შექმნას.

დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებები ბევრს არაფერს ნიშნავს. ის ყველაფერს აკეთებს, რომ ბიძინა ივანიშვილს ასიამოვნოს. „ოცნების“ იმ გუნდს, რომელსაც ახლა აუგად იხსენიებს, პარტიის ლიდერის დახმარებით აჯობა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, მას მათ წინააღმდეგ ივანიშვილი ალაპარაკებს.

ეს ყმაწვილი ძალიან სერიოზულ და ღრმა შეცდომებს უშვებს. ჩემი რჩევაა დაწყნარდეს და მოვლენებს ცივი გონებით შეხედოს. უმჯობესია მან სამომავლო პერსპექტივებზე იფიქროს. პოლიტიკაში მას არანაირი პერსპექტივა არა აქვს.

– თქვენ ზემოთ რამდენჯერმე ახსენეთ, რომ ხელისუფლებას და ივანიშვილს ლიეჟში გამართული შეხვედრის შეეშინდაო. რითი იყო მათთვის ეს შეხვედრა საშიში?

– არაა მათი შიში უსაფუძვლო. ადამიანების დიდი ნაწილი, რომელიც პოლიტიკაზე ლაპარაკობს, სააკაშვილზე იწყებს საუბარს. ყველა „ოცნების“ და ნაციონალების ხელისუფლებას ადარებს ერთმანეთს. ძირითადად იმაზე მიდის საუბარი თუ რითი იყო სააკაშვილი უკეთესი. მიდის საუბრები იმაზე, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე გვქონდა პერსპექტივები თუ 2012 წლის მერე გაჩნდა პერსპექტივები.

ადამიანები ამაზე ბევრს ლაპარაკობენ. ამის შესახებ ხომ იცის სუსმა. რაკი სუსმა იცის, ეს ინფორმაცია აქვს ივანიშვილსაც. ადამიანები როცა წინა ხელისუფლებასა და სააკაშვილზე ფიქრობენ, ეს „ოცნებაში“, ბუნებრივია, წარმოშობს შიშს. ამ შიშმა ივანიშვილის გულშიც ჩაიბუდა. არადა მას ჰქონდა გზა, ეს შიში მოეშორებინა.

– რა გზით შეეძლო ამ შიშისგან გათავისუფლება?

– მას უნდა ეჯობნა მიხეილ სააკაშვილისთვის.

– რაში უნდა ეჯობნა?

– მას სააკაშვილისთვის ეკონომიკით, პოლიტიკით, რეფორმებით, მეტი დემოკრატიით უნდა ეჯობნა. ჩვენი დღევანდელობა ერთი-ერთში ემსგავსება წარსული ხელისუფლების ნეგატივს.

ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ დროის საკითხია. ხელისუფლების ცვლილების სისწრაფით თავად „ოცნების“ ლიდერი უნდა იყოს დაინტერესებული.

– რატომ უნდა იყოს ეს ივანიშვილის ინტერესში?

– რაც მეტ ხანს დარჩება ივანიშვილი ხელისუფლებაში, მით უფრო მძიმედ დამთავრდება ეს მისთვის.

21-ე საუკუნის პირველი მეოთხედი ილევა და იმდენს ვერ მივაღწიეთ, რომ ყოფილ ხელისუფალს გასაქცევად არ გაუხდეს საქმე და აქ გაგრძელოს მოღვაწეობა. ბიძინა ივანიშვილსაც ასეთი ბედი ელოდა.

არადა მას ჰქონდა უნიკალური შანსი, სიტუაცია შემოეტრიალებინა. კერძოდ, საქართველოში მაჟორიტარული არჩევნები 2016 წლისთვის გაეუქმებინა. ამის შედეგად ბევრი პარტია შევიდოდა პარლამენტში.

პარლამენტში იქნებოდა სერიოზული ჭიდილი, მაგრამ ეს ქუჩაში არ გამოვიდოდა და ქვეყანა ასე თუ ისე დალაგდებოდა.

მაჟორიტარულის გაუქმებას ივანიშვილი 2020 წლისთვის აპირებდა, მაგრამ 2016 წლის არჩევნების შედეგებმა გადაწყვეტილება შეაცვლევინა და ხელისუფლების გასაგრძელებლად არჩევნების პროპორციული წესით ჩატარება 2024 წლისთვის გადაიტანა.

– 2024 წლამდე დარჩება „ოცნება“ ხელისუფლებაში?

– ვერ დარჩება და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება.

– თუ არ ჩატარდა პროპორციული სისტემით?

– მაშინ ეს არ იქნება არჩევნები. არჩევნები როცა არ ტარდება, ტარდება ის, რაზეც გუბაზ სანიკიძე ხშირად საუბრობს.

– რევოლუციაზე საუბრობს ის ხშირად.

– მეც რევოლუცია მაქვს მხედველობაში. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ფიქრობს, რომ ივანიშვილი ხელისუფლებას არჩევნების გზით არ დათმობს.

მას ქვეცნობიერში აქვს ჩადებული, რომ 2003 წლის 23 ნოემბერი უნდა განმეორდეს. რაც მისასალმებელი არაა. სამწუხაროა, რომ ხალხს ქუჩისკენ თავად ხელისუფლება უბიძგებს.

22 პოლიტიკური პარტია ვთანხმდებით იმაზე, რომ საქართველოში ერთპარტიული მმართველობა უნდა დასრულდეს. ამის გაკეთება მხოლოდ პროპორციული არჩევნებით არის შესაძლებელი.

უახლოეს დღეებში პარლამენტიდან მივიღებთ სათანადო ოქმებს. ჩვენ დავიწყებთ კარდაკარ სიარულს და 200.000 ხელმოწერას შევაგროვებთ. 200.000 ადამიანს თუ უარს ეტყვის პარლამენტი და არ გააუქმებენ მაჟორიტარულ წესს, მაშინ მათ უნდა აიღონ ყველაფერზე პასუხისმგებლობა.

„ქართული ოცნების“ წევრებთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ისინი ივანიშვილის უკიდურესი მხარდამჭერები არიან, მაგრამ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას უჭერენ მხარს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ახლა უნდა ბესელიას დაგვაჯეროს, რომ პრინციპული ადამიანი გახდა?!“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ლიეჟში განვითარებულ მოვლენებზე მინდა გკითხოთ, თქვენ როგორ აფასებთ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას? ის ხვდება ქართველ ემიგრანტებს და მათთან ერთად აპირებს საქართველოში დაბრუნებას. მანამდე კი ევროპის შუაგულში ვნახეთ „ქართული ოცნებისა“ და სააკაშვილის მომხრეების დაპირისპირება.

– ეს მეორე ნაწილი უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, რადგან იმ გეგმებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ახალისებს თუ აორგანიზებს ასეთ პროვოკაციებს ევროპაში, სამარცხვინოა.

– ფიქრობთ, ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული?

– რა თქმა უნდა. ამაში ორი აზრი არ არის! არავინ თავისი ინიციატივით არ წავიდოდა საშარო საქმეზე ერთი ქალაქიდან თუ ერთი ქვეყნიდან მეორეში. ადამიანი ხვდება თავის მხარდამჭერებს, რატომ უნდა მიუვარდე და რატომ უნდა

მოაწყო პროვოკაციები?! ეს იყო ორგანიზებული და წინასწარ დაგეგმილი. კერძო ბიზნესმენს მისცეს ეს დავალება თუ სუსის მიერ იყო დავალებული, ეს დეტალები ოდესმე ნათელი გახდება.

– კობახიძე ამას არ უარყოფს, მეტიც, ის ამბობს, რომ სააკაშვილს თავის წამოწევის საშუალებას არ მისცემენ.

– ის სიამოვნებას განიცდის ასეთი მარაზმატიკული განცხადებებით.

– საქართველოში მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია. შესაბამისად, თუ საზღვარს გადმოკვეთს, აიყვანენ.

– ამ ბრალდებას არავინ ცნობს არსად, მით უფრო, ამ სასამართლო სისტემის ფონზე. ამას სერიოზულად არავინ რომ არ უყურებს, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ადამიანი ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, რუსეთის გარდა, სრულიად თავისუფლად გადაადგილდება.

– რატომ არ ჩამოდის? პასუხისმგებლობის ეშინია?

– მაპატიეთ, გულუბრყვილო კითხვაა. იმიტომ არ ჩამოდის, რომ აქ არის ივანიშვილის რეჟიმი, რომელიც მას იმ წუთში დაიჭერს.

– გასაგებია, მაგრამ ექსპერტები ამბობენ, დაიჭერს და იმ წუთში სააკაშვილი ახალ პოლიტიკურ სიცოცხლეს შეიძენს საქართველოში. ამად არ ულირს?

– ასე ჯობია თუ ისე ჯობია მისი მომავალი პოლიტიკური მოღვაწეობისთვის, ეს პირადად მიხეილ სააკაშვილის გადასაწყვეტია. თუმცა, მე ვიცი, რომ ჩამოვა თუ არა, მას იმ წუთში დააკავებენ და ციხეში ჩასვამენ.

– 2020 წლისთვის, საპარლამენტო არჩევნებისთვის როგორ ხედავთ მოვლენებს, როდესაც რეალური ალტერნატივა არ ჩანს? ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს ძალაუფლების დათმობას.

– რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი თავისი ნებით ძალაუფლების დათმობას და დატოვებას არ აპირებს. ამიტომ მოხდება ისევ ის, რაც ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვნახეთ. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ, რომ უფრო მწვავედ იყოს უკვე მოვლენები, რადგან საუბარია საპარლამენტო არჩევნებზე, სადაც ხელისუფლების ცვლილების საკითხი დგას.

ხელისუფლება ისევ ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებს, ის ისევ მოისყიდის და დააშინებს ამომრჩეველს, მასშტაბები კი უფრო დიდი იქნება.

რა გარდატეხს ამ რეალობას?! მხოლოდ

ხალხის საერთო ნება. იქნება ხალხი აქტიური?! ეს დამოკიდებული იქნება პოლიტიკური სპექტრის აქტიურობაზე, ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობ არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ მთლიანად სამოქალაქო-საზოგადოებრივ აქტიურობაზე. ვნახოთ, როგორი იქნება მაშინ განწყობები, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– ოპოზიციის გაერთიანება შესაძლებელია?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციამ შექმნას კოალიცია, მაგრამ ერთობა გარკვეულ ინტერესებზე უნდა იყოს დაფუძნებული. მაგალითად, დღეს ოპოზიცია ერთიანია საარჩევნო სისტემის ცვლილების საკითხის ირგვლივ.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. არ შეიძლება, მომავალი არჩევნები ისევ შერეული სისტემით ჩატარდეს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეს არის სრულიად არასამართლიანი სისტემა. ხელისუფლებასთან უნდა მივაღწიოთ, რომ ისინი წამოვიდნენ ამ ცვლილებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან რთული იქნება. ამ საკითხის ირგვლივ ოპოზიციის ერთობა ნამდვილად არსებობს.

მთელ ამ პროცესში ყველაზე ცუდი რაც შეიძლება იყოს, ეს არის ნიჰილისტური განწყობები. ბოლო სოციოლოგიურ კვლევებში კვლავ მაღალია იმედგაცრუებული ამომრჩევლის მაჩვენებელი. ეს ძალიან ცუდია.

– „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ამბოხებული დეპუტატებიდან ე.წ. მესამე ძალა შექმნას?

– ე.წ. მესამე ძალის შექმნა გაუჭირდება, რადგან ოდნავ მაინც კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის თვალში ბესელია, ფოფხაძე და გოგიჩაიშვილი ვერანაირად ვერ იქნება აღქმული ბიძინა ივანიშვილის ალტერნატივად.

ეს მაინც არის ივანიშვილის ორი ხელი თუ ორი საცეცი, რომელიც ერთმანეთს დაეჯახა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო სისტემაზე გავლენების მოპოვებისთვის ბრძოლაში. თორემ ამ ადამიანებს მაინცდამაინც სამართლიანი სასამართლო სისტემა და მისი ბედი რომ არ აღელვებთ, ეს ჩანდა მთელი ამ 6 წლის მანძილზე, რადგან არც ერთ მათგანისთვის მთელი ამ ხნის მანძილზე მურუსიძე არ ყოფილა პრობლემა.

„ახლები“ იქნებიან თუ „ძველები“, მაინც „ოცნებაა“. ივანიშვილი როგორ გაათამაშებს ამ ყველაფერს, არ ვიცი, შეინარჩუნებს თუ არა ერთიანობას თუ საერთოდ დაიკარგება ბესელია, თუ შიგნიდან ხელოვნურად მოხდება პარტიის ფორმირება, ამას ვნახავთ.

– თავის დროზე ასე გაიყო მოქალაქეთა კავშირი.

– სულ სხვა პროცესი იყო მოქალაქეთა კავშირში. კი იყო ეკლექტური, როგორც 2012 წელს კოალიცია „ქართული ოცნება“, მაგრამ იქ ყოველთვის იყო ორი ფრთა: ერთი ნათელი, მომავალზე ორიენტირებული, რეფორმატორების ფრთა და მეორე კომუნისტური, ნომეკლატურული ფრთა, რომელიც უკან იყურებოდა.

ამ ორ ძალას შორის თავიდანვე იყო სისტემური განსხვავება.

აქ პიროვნების ირგვლივ დარაზმული ადამიანები ჩანან, რომელთა შორის პრინციპულ განსხვავებას დღემდე ადგილი არ ჰქონია და ახლა უნდა ბესელიას დაგვაჯეროს, რომ პრინციპული ადამიანი გახდა?!

ამიტომ, მე ვერ ვხედავ აქ რაიმე რეფორმატორულ, სერიოზულ, განსხვავებულ ძალას, მით უფრო, ბესელიას სახით.

ირმა ინაშვილი: „დამნიშნეთ მთავარ პროკურორად და სააკაშვილს დავიჭერ“

შორენა მარსაგიშვილი

ბელგიის პატარა ქალაქ ლიეჟში გამართული ქართველი ემიგრანტების შეხვედრა უმთავრეს პოლიტიკურ თემად იქცა. ამ თავყრილობას პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილიც გამოეხმაურა

ბელგიაში ამოხეთქილმა ქართულმა პოლიტიკურმა ვნებებმა ინაშვილს მთავარი პროკურორობა მოანდომა.

მისი თქმით, აღნიშნული შეხვედრა საზოგადოებისთვის საინტერესო არ იყო, რადგან ნაციონალურ მოძრაობასა და სააკაშვილს ქართველი ხალხი მხარს აღარ უჭერს.

სააკაშვილს, რომლის დაჭერის დიდი სურვილიც აქვს, ინაშვილმა ავანტიურისტი და კომიკური პერსონა უწოდა.

– მაინტერესებს, რატომ არ მოქმედებს პროკურატურა და არ მუშაობს სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომ მოხდეს მიხეილ სააკაშვილის დაკავება. მას რამდენი ბრალი აქვს წაყენებული საქართველოში, დროა, იმოქმედონ ჩვენმა ძალოვანმა უწყებებმა, ჩამოაბრძანონ საქართველოში და დააპატიმრონ. ის რეიტინგი, რასაც „ნაციონალურ მოძრაობას“ უწერს „ენდიაი“ და რაც აბსოლუტურად ერთი დიდი საპნის ბუშტი და ტყუილია, კიდევ ერთხელ გამოჩნდა 10 თებერვალს დარბაზში. ნაცმოძრაობასა და სააკაშვილს ქართველი ხალხი არ უჭერს მხარს.

ტყუილია ყველა რეიტინგი, რაც მათთან დაკავშირებით ვრცელდება, ვერ კრებენ ხალხს ვერც თბილისში და ვერც ლიეჟში. ასი ათასობით ემიგრანტს რომ ელოდებოდნენ, დამნიშნონ ერთი კვირა მთავარ პროკურორად და ქართველ ხალხს პირობას ვაძლევ, ერთ კვირაში სააკაშვილს ავიყვან და დავაკავებ. ყველა ძებნილს დავაკავებ და ჩამოვიყვან საქართველოში. ჩემი შეთავაზებაა „ქართული ოცნებისადმი“. სააკაშვილი არის დიდი ავანტიურისტი და კომიკური პერსონა. დაბრუნდეს და წესით უნდა დააკავონ შესაბამისმა უწყებებმა. ძალიან მარტივია ეს სქემა. პროკურატურამ უნდა იმოქმედოს, – აღნიშნა ინაშვილმა.

მისი ეს განცხადება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა.

ინაშვილის განცხადებაზე გაცილებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა მისი თანაპარტიელის ემზარ კვიციანის განცხადებას.

დეპუტატმა კვიციანმა საქართველოს მესამე პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნება ინატრა. ამბობს, ერთი სული აქვს, როდის ჩამოვა სააკაშვილი საქართველოში.

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი არ გამიშისტებულა. მას სააკაშვილთან შეხვედრა სულ სხვა მიზნით ეჩქარება. უნდა, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტს ინტელექტი შეუმოწმოს.

– არ მახსოვს ვინ თქვა: „შეძენილი ინტელექტი არაფერია თანდაყოლილ სიბრიყვესთანო“! ისე, მიხო, საქართველოში ყველაზე ძაან მე გელოდები! ერთი სული მაქვს, როდის შეგიმოწმებ ინტელექტს, – მიმართავს კვიციანი სააკაშვილს.

„2018 წლის მე-2 ნახევრიდან ვადაგადაცილებული სესხების წილი გაზრდილია“

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალის“ აღმასრულებელი დირექტორის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა ასოციაციის თავმჯდომარის ბესო შენგელიას განცხადებით, 2018 წლის მეორე ნახევრიდან საკრედიტო პორტფელის ზრდა მნიშვნელოვნადაა შემცირებული და აშკარად შეინიშნება რისკიანობის ზრდა – ვადაგადაცილებული სესხების წილის მატება მთლიან პორტფელში.

როგორც bm.ge-თან შენგელიამ განაცხადა, პორტფელის რისკიანობის ზრდის მიზეზი, შესაძლოა, რამდენიმე ფაქტორი იყოს, მაგრამ აქცენტი რეგულაციებთან დაკავშირებული ფაქტორზე გააკეთა.

– შეიძლება, რისკიანობის ზრდის ბევრი მიზეზი არსებობდეს, მაგრამ რეგულაციების ჭრილში თუ განვიხილავთ, მიზეზი იკვეთება ის, რომ მსესხებლებს რეგულაციებამდე სესხებზე ხელმისაწვდომობა უფრო მაღალი ჰქონდათ, ვიდრე – რეგულაციებამდე, რადგან არსებობდნენ ონლაინსესხების კომპანიები, ბანკებიც საკმაოდ აგრესიულად მოქმედებდნენ, მისო-ებიც და, შესაბამისად, ხშირად ვერ ხერხდებოდა მსესხებლების ლიკვიდურობის სათანადო შეფასება, რადგან ხდებოდა მიმდინარე გადახდები, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მსესხებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით გაეზარდათ საკუთარი ლიკვიდურობა ანუ ერთ ორგანიზაციაში აღებული სესხი მეორე ორგანიზაციაში აღებულით გადაეფარათ და ა.შ.

რამდენად ჯანსაღი პროცესი იყო ეს, ცალკე შესაფასებელია და მართალი გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ მისო-ების ასოციაციაში ვმსჯელობთ ახალი საფინანსო რეგულაციების ის პაკეტი, რაც იანვრიდან ამოქმედდა, რამდენად ოპტიმალურია, რეგულაციების ძირითად პრინციპებში სებ-ს ვეთანხმებით და ვფიქრობთ, რომ რეგულაციები უფრო ადრეც იყო მისაღები, იგივე სესხის მომსახურების კოეფიციენტების ლიმიტის დადგენის ნაწილში, – განაცხადა შენგელიამ.

2018 წელს ბანკებმა მოსახლეობისგან ჯარიმებით 84 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს

კომერციულმა ბანკებმა 2018 წლის განმავლობაში საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 84.861.434 ლარის შემოსავალი მიიღეს.

როგორც კომერციული ბანკების ანგარიშგებაში ვკითხულობთ, ჯარიმებიდან ყველაზე მეტი შემოსავალი „თიბისი ბანკმა“ მიიღო – 29.331.494 ლარი. მეორე ადგილზეა „საქართველოს ბანკი“ – 19.343.330 ლარი. მესამე ადგილზე „ლიბერთი ბანკია“ – მან 2018 წელს საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 13.097.408 ლარის შემოსავალი მიიღო. მეოთხე ადგილზეა – „კრედო“ – 6.811.928 ლარი.

ტოპ-ხუთეულში მოხვდა „ბანკი ქართუც“, რომელმაც საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით – 3.893.679 ლარის შემოსავალი მიიღო.

ფინანსისტების თქმით, ქართული საბანკო სექტორი მოგების მაღალ მარჟას სწორედ ჯარიმების/საურავებისა და საკომისიოებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე აღწევს. აღნიშნული მონაცემები კი საქართველოში ბანკების მიერ დაწესებულ ჯარიმების სიძვირეზე მიუთითებს.

BPN

ხელისუფლება სააკაშვილის აქტიურობით შეშინებულია

გია ნოდია: „ალტერნატიული ან ჩრდილოვანი კაბინეტები ძალიან ბევრ ქვეყანაში იქმნება. ამაში არაფერი განსაკუთრებული ან არაბუნებრივი და არანორმალური არ არის“

იავო ნაცვლიშვილი

10 თებერვალს ბელგიის ქალაქ ლიეჟში ქართველთა მსოფლიო კონგრესი გაიმართა. შეხვედრაზე საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართველ ემიგრანტებს შეხვდა. შეხვედრაზე ჩრდილოვან მთავრობასა და საქართველოს განვითარების პოტენციალზე ისაუბრეს და იმაზე, როგორ ამუხრუჭებს საქართველოს რეგიონების განვითარებას ბიძინა ივანიშვილი და მისი მთავრობა.

შეხვედრამდე და შეხვედრაზეც რამდენიმე ინციდენტი იყო. ლიეჟში ადგილი ჰქონდა ცემა-ტყეპას. სააკაშვილის მოწინააღმდეგეებმა გამოფინეს სააკაშვილის საწინააღმდეგო ტრანსპარანტები, რაც საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროსაც აქტიურად გამოიყენებოდა. პოლიტიკოსი თემურ შაშიაშვილი შეხვედრაზე შეიჭრა, თუმცა უკან გაიყვანეს და შეხვედრის მსვლელობას პრობლემა არ შექმნია. პარალელურად მიხეილ სააკაშვილი შემდეგ შეხვედრებსაც აანონსებს საბერძნეთსა და იტალიაში.

შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა „ქართულ ოცნებას“ სოციალური ქსელის საშუალებით ასეთი ტექსტით მიმართა: „ქოცებო, თქვენც შეიკრიბეთ სადმე, დაიბარეთ ბიძინა შეხვედრაზე და ისაუბრეთ, ვინ დაგიშალათ, რავა ყველაფერი ჩვენი გშურთ, რა უბედურებაა? დარბაზების მეტი რა არის, დიდია ევროპა. მეტი არაა ჩემი მტერი მანდ ჩამოვიდეს, საქართველოში ვერ დალაპარაკებია ხალხს“ – დაწერა მიხეილ სააკაშვილმა.



რა შეფასება შეიძლება მიეცეს აღნიშნულ მოვლენებს, ხომ არ იქონიებს გავლენას ვიზალიბერალიზაციაზე და უნდა მისცემოდათ თუ არა შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობა მოწინააღმდეგეებსაც? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ **გია ნოდიას** ესაუბრა:

– როგორ აფასებთ გუშინდელ მოვლენებს, რაც ხდებოდა შუაგულ ევროპაში, ბელგიის ქალაქ ლიეჟში? თქვენ რა დაინახეთ?

– სიმართლე გითხრათ, დეტალურად არ მიყურებია და არ მიმიდევნებია თვალ-ყური ამ მოვლენებისთვის. ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს ამ მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ ყოფილა სპონტანური რეაქცია. ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს ყველაფერი სპონტანურად მოხდა. როგორც ჩანს, შეშფოთებულია ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის აქტიურობის გამო და უნდოდა რაღაც საპირისპიროს გაკეთება.

– ანუ ხელისუფლების კვალი დაინახეთ, მისი დაგეგმილი გგონიათ ის არასასიამოვნო მოვლენები, რაც ყველამ ერთად ვნახეთ?

– დაზუსტებით, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის კადრები, რაც ვნახეთ, მან ჩემზე ასეთი სახის შთაბეჭდილება მოახდინა.

– რას ნიშნავს ეს, როდესაც ევროპის მას შტაბით ასეთი რაღაცა ხდება?

– ძალიან ბევრსაც არაფერს ნიშნავს. ევროპაში უამრავი რაღაც ხდება და ესეც ერთი პატარა ინციდენტია ევროპის მასშტაბით, მაგრამ თუ ჩემი ვარაუდი მართალია და მართლაც ურევია ამაში „ქართული ოცნების“ ხელი, ვიმეორებ, ამას დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ეს აჩვენებს, რომ ხელისუფლება არაადეკვატურად არის შეშინებული.

ანუ, არა მგონია, რომ მას სერიოზული შიშის საფუძველი ჰქონდეს იმის გამო, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ემიგრანტებს ხვდება. ან იმის გამო, რომ ემიგრანტებს შორის ის უფრო პოპულარულია, ვიდრე თავად ხელისუფლება. შესაძლოა ეს ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო ფაქტია და უნდა იყოს კიდეც, მაგრამ ამაზე სერიოზული რეაგირება, ჩემი შეფასებით, არასერიოზულია. თუ ის ამ ფორმით რეაგირებს, ეს მის სისუსტეს და მოწყვლადობის რაღაც განცდას აჩვენებს. ეს არის მისი მხრიდან მოწყვლადობის გამოხატულება.

– ასეთი მოსაზრებებიც გამოითქვა, რომ ასეთმა ფაქტებმა შესაძლოა საქართველოს პრობლემა შეუქმნას ევროპასთან ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით. რამდენად სერიოზული რისკია ამ მხრივ?

– არა მგონია. ეგ ცოტა გაზვიადებული მგონია. რადგან, როგორც აღვნიშნე, ასეთი რაღაცები ხდება ევროპაში.

– მეორე მხარეზე რას იტყვით? რამდენად გამართლებული და სერიოზულია, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები ალტერნატიულ მთავრობას ქმნიან?

– ალტერნატიული ან ჩრდილოვანი კაბინეტები ძალიან ბევრ ქვეყანაში იქმნება. ამაში არაფერი განსაკუთრებული ან არაბუნებრივი და არანორმალური არ არის. უბრალოდ, ეს აჩვენებს, რომ ოპოზიციას, უფრო სწორედ კონკრეტულ ოპოზიციურ გაერთიანებას, აქვს მკაფიო გეგმები იმაზე თუ რას გააკეთებს და ვინ იქნება მისი წარმომადგენელი ხელისუფლებაში თუ ხელისუფლებაში მოვიდა. ასეთ რამეში თავისთავად არაფერი განსაკუთრებული არ არის.

– ანუ ეს ნიშნავს, რომ ოპოზიციურ პარტიას კონკრეტული გეგმა აქვს?

– რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ იქ იყვნენ შეკრებილები სააკაშვილის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათ კითხვის დასმა უნდოდათ ყოფილი პრეზიდენტისთვის და მათ ამის საშუალება არ მისცეს. როგორ ფიქრობთ, არ უნდა მიეცათ ამის საშუალება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებისთვისაც?

– ასეთი დეტალების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. არ ვიცი, არ მინახავს როგორ და რა სახით იყო, მაგრამ, როდესაც მიდიან ტრანსპარანტებით, რომელიც არის აპრიორი მტრული, დაპირისპირებული, ცხადია, რომ იქ რეალურად კითხვის დასმა არ არის მათი მიზანი. მათი მიზანი იყო ამ შეხვედრის ჩაშლა. სხვა შემთხვევაში ასეთი ტრანსპარანტებით არ მიხვალ შეხვედრაზე.

– ანუ პროვოკაციულ ქმედებად უნდა აღვიქვათ?

– შესაძლოა პროვოკაცია დავუძახოთ. კი ბატონო, ეს ტერმინები შეიძლება იყოს გამოყენებული.

– ახსენეთ, რომ სავარაუდოდ ხელისუფლებისგან იქნებოდა მართული. ამაზე ის ფაქტიც ხომ არ მეტყველებს, რომ შალვა რამიშვილიც იყო, ესეც ამაზე ხომ არ მიანიშნებს?

– კი ბატონო. რა თქმა უნდა, ეს ამ აზრს კიდევ უფრო მეტად ამყარებს. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი თუ შალვა რამიშვილი იყო ჩასული. თუ ჩასული იყო, მაშინ ჩემი პირადი რწმენა, რომ ხელისუფლების მიერ იყო მართული და ორგანიზებული, ამ ინფორმაციის შემდეგ ძალიან გაძლიერდა.

ირაკლი ალადაშვილი: „პუტინი ელოდება, რომ საქართველომ საოკუპაციო ზოლთან ჭანკები დააყენოს“

აგვისტოს ომის შემდეგ ზოგიერთი ახლანდელი ოპოზიციონერი დასასჯელი იყო

ლელა მდივანი

ხურვალეთში თითქმის ერთი კვირაა მორიგი სათვალთვალო კოშკი დადგეს. კოშკურის მშენებლობა ხურვალეთსა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეულ სოფელ ძუკაანთკარს შორის არსებულ გზაზე საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 6 თებერვალს განახორციელეს. მედიაში გავრცელებული კადრების მიხედვით, კოშკი მავთულხლართებიდან რამდენიმე მეტრითაა დაშორებული.

ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში, საქართველოს ისღა დარჩენია, მცოცავი ოკუპაციის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოში მორიგი განცხადება შეიტანოს.

ალადაშვილი „ახალ თაობასთან“ ამბობს, რომ თავდაცვის საკითხების გაძლიერება ეკონომიკაზეა დამოკიდებული, ამიტომ საქართველომ ნებისმიერ გამოწვევას ადეკვატურად რომ უპასუხოს, საჭიროა ძლიერი ეკონომიკა ჰქონდეს.

ირაკლი ალადაშვილი:

– მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ მოახდინა საქართველოს 2 რეგიონის, ცხინვალისა და აფხაზეთის სამხედრო ოკუპაცია, ისინი მუდმივად ახორციელებენ გამაგრებით სამუშაოებს ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. იქნება ეს სანგრების თუ პატარა სამხედრო ბაზების სახით. მათ შორის შესაძლოა იყოს სათვალთვალო კოშკიც, რომელზეც შეიძლება განთავსდეს როგორც ვიზუალური დაკვირვების და თვალთვალის სისტემები, ასევე რადიო ლოკაციური დაზვერვის საშუალებებიც. ერთადერთი, რაც საქართველოს დარჩენია, ის არის, რომ მორიგი საპროტესტო განცხადებები გააკეთოს მსოფლიოს სხვადასხვა ინსტიტუტებში, პირველ რიგში, გაეროს უშიშროების საბჭოში.

– როგორ გგონიათ, რუსეთი იმ ფაქტმა ხომ არ გაათამამა, რომ საქართველომ უკრაინას ავტოკეფალიის მინიჭება არ მოულოცა.

– რუსეთი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ძალები, ჩვენდა სამწუხაროდ, არათანაბარია, რეალურად ახორციელებს იმ მეთოდებს, რაც მას იმ მომენტში სურს.

– ოპოზიციაში ამბობენ, ერთ-ერთი „იარაღი“, რითიც ამ პროცესს უნდა ვებრძოლოთ, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაა. იზიარებთ ამ შეხედულებას?

– მე ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომ პირველ რიგში, ქვეყანა ეკონომიკურად უნდა გაძლიერდეს. ესაა მთავარი, რადგან ეკონომიკაზეა დამოკიდებული თავდაცვაც და სხვა საკითხებიც. მინდა აღვნიშნო, რომ ყოფილი ხელისუფლების დროს, რომელიც დღეს ოპოზიციას წარმოადგენს, დაშვებული იყო უდიდესი შეცდომები. არ დაისაჯა ის ხალხი, ვინც დასასჯელი იყო მაშინ, ეს არის კიდევ დიდი პრობლემა, რაც წინ მუდამ დაგვხვდება.

– უფრო ზუსტად რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ, რომ საფუძვლიანად არ გამოკვლეულა რა მოხდა აგვისტოს ომის დროს და არავინ დასჯილა. დღეს ბევრი ისეთი საუბრობს, იგივე ოპოზიციის სახელითაც, რომელსაც თავისი წილი დანაშაული მიუძღვის ბევრ რამეში, მათ შორის, უმოქმედობაში თუ არასწორი მოქმედების გამო.

– პრობლემები განსაკუთრებით ბევრია ე.წ საზღვართან მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომლებიც შიშის ქვეშ ცხოვრობენ და არავის აქვს მათ დაცვაზე პასუხისმგებლობა აღებული.

– რა თქმა უნდა, ის ადამიანები, ვინც ახლოს ცხოვრობენ საოკუპაციო ზოლთან, უფრო დიდი ხიფათის ქვეშ არიან, იმიტომ, რომ არავინ იცის, ხვალ თავში აზრად რა მოუვათ იმ ადგილობრივ სეპარატისტებს, სამხედრო ოკუპანტებს. რა თქმა უნდა, იქ ეს საფრთხე უფრო მომატებულია. დაცვას რაც შეეხება, გასაგები მიზეზების გამო, საქართველოს არ შეუძლია საოკუპაციო ზოლთან დააყენოს ტანკები და არტილერია. სწორედ ამას ელოდება პუტინი, რომ საბაბი მიიღოს იმისთვის, რომ ღმერთმა არ ქნას, სამხედრო არეულობა დაიწყოს. ასეთი ჩაკეტილი, მოჯადოებული წრეა.

– გამოდის, რომ კიდევ უნდა ველოდოთ მორიგი კოშკურის დადგმას.

– კოშკურებს აგებენ იმიტომ, რომ სეპარატისტების ლიდერები და საოკუპაციო ძალები ამ ტერიტორიებს საზღვრად მიიჩნევენ. ისინი ცდილობენ, რომ ისეთივე სრულფასოვანი საზღვარი გააკეთონ, როგორც რუსეთს აქვს სხვა სახელმწიფოებთან. ამიტომაც ახდენენ ისინი სასაზღვრო, საინჟინრო სამუშაოების ჩატარებას.

– თუ ასეთივე საზღვრებს გააკეთებენ, მერე რა იქნება?

– რუსეთმა აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რასაც საქართველო არ აღიარებს. უნდა ველოდოთ უკეთესი სიტუაციის დადგომას, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, პირველ რიგში, თუ საქართველო გაძლიერდება არა იმით, რომ მეტი ტანკი ეყოლება საქართველოს, არამედ იმით, რომ საქართველოს ეკონომიკა გაძლიერდება.

თბილისის ბაგა-ბაღებში გაზგაყვანილობის სისტემა კიდევ ერთხელ შემოწმდება

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის, კახა გვანცელაძის განცხადებით, მომავალ კვირაში 180-ვე საბავშვო ბაღში გაზგაყვანილობის სისტემა კიდევ ერთხელ შემოწმდება, თუმცა ეს სასწავლო პროცესს ხელს არ შეუშლის.

მისი თქმით, სააგენტომ უსაფრთხოების ღონისძიებები გასულ წლებშიც გაატარა.

– თბილისის ბაგა-ბაღებში უზრუნველყოფილია უსაფრთხოება. ბაღებს ჩვენი მონიტორინგისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება ამოწმებს. ამასთანავე, პროცესში ჩართულია კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“. ბაღები შარშან და შარშანწინ შემოწმდა. გაიცა რეკომენდაციები, რომლის საფუძველზე 20 ბაღში გაზქურები ელექტროქურებით ჩავანაცვლეთ, ასევე მოვაწესრიგეთ რამდენიმე ბაღი, – განაცხადა გვანცელაძემ.

მიუხედავად ამისა, მისი თქმით, შემოწმების მიზნით სააგენტომ გასულ კვირაში კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ მიმართა.

– კიდევ ერთხელ, წინა კვირაში მივმართეთ „ყაზტრანსგაზს“ შემოწმებისთვის და კვლავ შემოწმდება ყველა ბაღი, როგორც „ყაზტრანსგაზის“, ასევე ჩვენი განყოფილების მიერ. ვთხოვეთ კომპანიას, თითოეული მოწყობილობისა და მილების შემოწმების ტემპი დააჩქარონ, – განაცხადა გვანცელაძემ.

გორში, 13 საბავშვო ბაღში ბუნებრივი აირის სისტემაში ხარვეზების გამოსწორებამდე სააღმზრდელო პროცესი შეჩერდება. სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის, ლია კოვზიშვილის განცხადებით, ბაღების შემოწმების მიზნით, მათ „სოკარ ჯორჯია გაზს“ მიმართეს.

Imedinews

„ბიძინა ივანიშვილი დავით ბაქრაძეს შეჰყავს შეცდომაში“

შალვა ხაჭაპურიძე: „ასე ეგონა სააკაშვილსაც, ვიქნებით და ვიქნებითო. დაგინახავთ ერთი, როგორ იქნებით!“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე და მოსამართლეების უვადო დანიშვნის შესახებ იურისტი **შალვა ხაჭაპურიძე** პასუხობს.

– ბატონო შალვა, მოსამართლეების უვადო დანიშვნა-არდანიშვნის თაობაზე კვლავ სერიოზული დავაა პარლამენტში. ეკა ბესელიამ და მისმა მომხრეებმა ინიციატივა მოამზადეს და მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შეჩერებას ითხოვენ, თუმცა მათ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავთ. რას იტყვით თქვენ, როგორც უფლებადამცველი?

– პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ ადვოკატების ინიციატივით დაფუძნდა ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია – ადვოკატები დემოკრატიისთვის და ჩვენ სწორედ მსგავს საკითხებზე ვაპირებთ მუშაობას. ამ ორგანიზაციაში 1500 ადვოკატია გაერთიანებული, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ. ჩვენი ორგანიზაციის პოზიციაა, რომ დიახ, მოსამართლეების უვადო დანიშვნა უნდა შეჩერდეს ყოველ მიზეზ გარეშე.

– ხომ დაინიშნა უკვე უვადოდ მოსამართლეების გარკვეული ნაწილი?

– ასევე მოფიქრებულ უნდა იქნეს ის სქემა, რომელიც უკვე დანიშნული მოსამართლეების საკითხს რაღაც სამართლებრივ სივრცეში გადაიყვანს.

ის დემოკრატიული მექანიზმები, რომლებიც მიენიჭა იუსტიციის საბჭოს, მისი მხრიდან ბოროტად იქნა გამოყენებული და შედეგად მივიღეთ ისეთი კანდიდატების დასახელება უზენაეს სასამართლოში და იმ ფორმით და იმ კრიტერიუმებით, რომლებიც არ ემსახურება სამართლიანი სასამართლოს ცნებას.

სასამართლო სისტემა არ არის მზად, გაანახორციელოს ასეთი ღრმა რეფორმები. იგი საჭიროებს სერიოზულ ცვლილებებს და სერიოზულ ჩარევებს. ალბათ ქირურგიულსაც. ამას კი დრო სჭირდება. ამიტომ მოსამართლეების ამ ტიპის დანიშვნები ამ ეტაპზე უნდა შეჩერდეს.

– ანუ თქვენც იზიარებთ ეკა ბესელიას და მისი თანამოაზრეების ინიციატივას? უმრავლესობის დიდი ნაწილი არ უჭერს მხარს ამ ინიციატივას.

– ჩვენ გვაქვს ურთიერთობები დეპუტატებთან და საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ უნდა შეჩერდეს ეს ნაწილი. ეს მცირე ნაწილი ნამდვილად არ არის. ამიტომ ჯერ ვერ ვიტყვით, ეს საკითხი განსახილველად რომ გავა, ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

მე რატომღაც მგონია, რომ პარლამენტი ამაზე არ წავა. თუ ხელისუფლება მაინც გადაწყვეტს, წავიდეს ამ ნაბიჯზე, ჩვენ კარდაკარ შემოვივლით, ყველა ადამიანს გავაგებინებთ, რას ნიშნავს ეს, რა პრობლემის წინაშე დადგება ქვეყანა, ამიტომ არ გამოვრიცხავთ დიდ საპროტესტო აქციებს.

– მოსამართლეების თემასთან დაკავშირებით ძალიან ხშირად ახსენებენ ბიძინა ივანიშვილს, თქვენც განაცხადეთ, რომ შეცდომაშია შეყვანილი. ვინ შეიყვანა ის შეცდომაში?

– იმ ჯგუფმა, ვისთანაც ის გადის კონსულტაციებს. მათ შორის არის დავით ბაქრაძე, ევროპული საქართველოდან. ბაქრაძის უკან დგას გიგა ბოკერია.

– ბაქრაძე-ბოკერიასთან გადის კონსულტაციებს ივანიშვილი?

– ბაქრაძესთან გადის, ბოკერიასთან არა. თუმცა ესენი ერთი გუნდის წევრები არიან. ბაქრაძის უკან დგას ბოკერია და ბოკერიას უკან ლევან რამიშვილი.

შევარდნაძესაც ჰქონდა ეგ სტილი, როდესაც მოწინააღმდეგეებთანაც საუბრობდა, უსმენდა ყველას და ბოლოს გადაწყვეტილებას თვითონ იღებდა.

გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც უფრო მეტად უსმენს ბიძინა ივანიშვილი, აწყობს, რომ მოსამართლეების ის კორპუსი, რომლებმაც თავი მოიჭრეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თავს მოახვიონ სასამართლოს და საქართველოს.

– რატომ?

– მათი კადრები არიან და როდესაც დასჭირდებათ გამამართლებელი განაჩენები, ან ვიღაცის ციხეში გამწესება დიდი ხნით, ამ მიზნებისთვის ესაჭიროებათ ეს მოსამართლეები.

იმ სისტემაში მუშაობდა ძალიან ბევრი მოსამართლე, რომელიც რეჟიმს არ შეეგუა და ნაციონალების დროსაც კი გამოჰქონდა გამამართლებელი განაჩენი. მაგალითად, ნინო სანდოძე. გარდა ამისა, არიან იქ სხვა მოსამართლეები, რომლებიც ვერ გასვარეს.

ანუ ის ხალხი უნდა დააწინაურონ, რომელმაც იმ რეჟიმს ღირსეულად გაუძლო.

– ზარდიაშვილი ბესელიას ინიციატივაზე აგდებით საუბრობს და აცხადებს, რომ ამას არც ერთი თავმოყვარე იურისტი არ მოაწერს ხელს.

– მე ამ ინიციატივას არ გავცნობივარ, თუმცა ეს ისეთი პროფესიონალების მიერ არის მომზადებული, თუნდაც ბესელია, თუნდაც კობა ნარჩემაშვილი, რომ არ მგონია, ზარდიაშვილის დასაწუნი იყოს. თავად ზარდიაშვილის პროფესიონალიზმსა და იურისტობაში კი საკმაოდ სერიოზული ეჭვი მაქვს, დასაბუთებული ეჭვი.

ეს კაცი ნაციონალების დროიდან მოყოლებული, ვისაც და რასაც ემსახურებოდა, ამაზე არაერთხელ თქმულა. ფაქტი ერთია, აქ მუშაობს გარკვეული ძალა, რომელსაც აინტერესებს თავისი კეთილდღეობა, ფინანსები, ბიზნესინტერესები, ამიტომ მხარს უჭერს ამ ერთი მუჭა ავანტიურისტების ჯგუფს და შედეგად ვიღებთ საშინელ უსამართლობას. ანუ თავად უსამართლობის პრინციპის გამოყენებით ხდება სასამართლოს დაკომპლექტება, რომელმაც შემდგომ უნდა აღადგინოს სამართლიანობა.

აქ ხომ წარმოუდგენელ რამეზეა საუბარი. რა ექნათ, რეჟიმის დროს მუშაობდნენ ეს მოსამართლეებიო. კარგით რა ხალხო, მაშინ პიროვნულ ღირსებებს, თავმოყვარეობას, პროფესიონალიზმს რა აზრი აქვს?!

– უნდა წამოსულიყვნენ? არ უნდა გასვრილიყვნენ?

– დიახ! მე ძალიან ბევრი მოსამართლე ვიცი, რომელმაც საერთოდ უარი განაცხადა წინა რეჟიმთან თანამშრომლობაზე და დატოვა სასამართლო. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად, მე. დავწერე განცხადება, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი და წამოვედი.

– ანუ თქვენი ორგანიზაცია სერიოზული საპროტესტო აქციებით იმუქრება თუკი გაგრძელდა მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა?

– არაფერსაც არ ვიმუქრებით. გააკეთებენ ამას და მიიღებენ იმას, რისი ღირსებიც იქნებიან. ეს გარდაუვალია, ბუნების კანონია. ასე ეგონა სააკაშვილსაც, ვიქნებით და ვიქნებითო. დაგინახავთ ერთი, როგორ იქნებით!

ეს არ არის სახუმარო საკითხი. სასამართლოზე არის მიბმული ძალიან ბევრი რამ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ჩვენი შვილების მომავალი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. ბიზნესდავებია სასამართლოში, სამი, ოთხი, ხუთი წელინადი გრძელდება და სად სცალიათ ამ მოსამართლეებს ამ ბიზნესდავებისთვის.

არა და იქ არიან ღირსეული მოსამართლეებიც. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ისინი უნდა დავიცვათ და იმათ მივცეთ ნორმალური მუშაობის შესაძლებლობა.

ახლა ზარდიაშვილს რა უნდა, ნაკლებად მაღელვებს, სიმართლე გითხრათ! მე მაინტერესებს, რა უნდა ქართველ ხალხს და ჩვენ გვაინტერესებს დემოკრატიული პროცესები, ხოლო ეს რაც ხდება, არ არის დემოკრატიული პროცესი.

ჩვენ ამის წინააღმდეგ აუცილებლად გავილაშქრებთ. ცას და ქვეყანას ავაწრიალებთ, რომ ასე არ მოხდეს. ძალიან ცუდი ამბავი დატრიალდება ქვეყანაში და ნუ უშვებს ყველა პოლიტიკური ძალა ერთსა და იმავე შეცდომას.

როგორ აიღო სესხი ისე, რომ არ დაკარგო ქონება

2018 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში კომერციულმა ბანკებმა თითქმის 150 მილიონი ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება დაისაკუთრეს. ეს ქონება მოქალაქეებმა დაკარგეს.

საბანკო სფეროს ექსპერტები რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას იძლევიან, რაც დაგეხმარებათ იმაში, რომ სწორად შეძლოთ სესხის აღებაც და გადახდაც, რათა თქვენი ქონება სხვისი საკუთრება არ გახდეს.

1. განიხილე რამდენიმე შემოთავაზება

იპოთეკური სესხის აღებისას გაეცანით რამდენიმე ბანკის პირობას. ყოველთვის არსებობს თქვენთვის საუკეთესო პირობა, რომელიც მძიმე ტვირთად არ დაგაწვებათ. თუ რომელიმე ბანკი დაბალ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს გთავაზობთ, ესე იგი სესხის მომსახურების თანმხლები დამატებითი ხარჯები იმ კონკრეტულ ბანკში უფრო დაბალია.

2. დეტალურად გაეცანი გენერალურ ხელშეკრულებას

უძრავი ქონება გირაოში ხშირად გენერალური ხელშეკრულებით ჩაიდება. ეს არის გრძელვადიანი ხელშეკრულება, 20-30-წლიანიც კი. ამ დროის განმავლობაში კომერციული ბანკი ერთი იპოთეკის ქვეშ აერთიანებს მოქალაქის მიერ აღებულ არაერთ სესხს.

ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ყველა მომხმარებელს და ხელშეკრულებაშიც წერია, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ საბანკო პროდუქტების ექსპერტი ანი ალიბეგაშვილი ამბობს, რომ მათი საკონსულტაციო ცენტრისთვის მიუმართავთ მოქალაქეებს, რომლებსაც სესხის დაფარვისას გენერალური ხელშეკრულების გამო შეექმნათ პრობლემები.

– თუ მომხმარებელს უნდა, რომ კონკრეტული ხელშეკრულების ქვეშ იყოს პასუხისმგებელი თანხის დაფარვაზე, აუცილებლად უნდა შეამოწმო, ხომ არ არის გაფორმებული მანამდე გენერალური ხელშეკრულება. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ იპოთეკის უძრავი ქონებით დატვირთვას აქვს ორი ფორმა: ერთი, როცა ტვირთავ კონკრეტულ სესხზე და მეორე – გენერალური, ანუ გრძელვადიანი ხელშეკრულება. მათ უნდა აარჩიონ სწორად, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო მოსახერხებელია მათთვის, – ამბობს ანი ალიბეგაშვილი.

თუ იცით, რომ სესხის დაფარვის შემდეგ ისევ დაგჭირდებათ სესხის აღება, მაშინ გრძელვადიანი ხელშეკრულება ჯობს. ასეთ დროს კონკრეტული ხელშეკრულების დამთავრების მერე იპოთეკა არ მოიხსნება და მისი გამოყენება ისევ შეგეძლებათ 2-3 წელიწადში.

3. დააზღვიე ხელფასი

ხელფასის დაზღვევა ეფექტური ხერხია ისეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, როგორიცაა სამსახურის დაკარგვა. სადაზღვევო კომპანიები 6 თვის ხელფასს აზღვევენ. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ კვალიფიციურ კადრს მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში შეუძლია ანალოგიური ანაზღაურებით სამსახურის შოვნა, თუმცა აუცილებელია, რომ დამსაქმებლის მიერ სამსახურიდან გაშვება იყოს დაფიქსირებული. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული ტოვებს სამუშაო ადგილს, დაზღვევა არ მოქმედებს.

4. გამოითვალე და დააგროვე მინიმალური დანაზოგი

თუ სამსახურიდან თავად წამოხვედით, თქვენს გადახდისუნარიანობას დანაზოგი შეინარჩუნებს. ექსპერტების რეკომენდაციით, ის შემოსავლის მინიმუმ სამმაგი ოდენობა უნდა იყოს. დანაზოგი ეხმარება ადამიანს, რომ, გაუთვალისწინებელი გარემოების მიუხედავად, მისი ყოველდღიურობა და ცხოვრების სტილი მკვეთრად არ შეიცვალოს.

5. გაეცანი გარდაცვალების დაზღვევას

ყველა სამომხმარებლო სესხზე ხდება სიცოცხლის დაზღვევა. თუ ადამიანი გარდაიცვალა და ამის მიზეზი არ არის, მაგალითად, თვითმკვლელობა ან ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა, გარდაცვალებიდან 5 დღის განმავლობაში კომერციულ ბანკს უნდა აცნობონ მომხდარის შესახებ. პირველ რიგში შეჩერდება სესხზე პროცენტის დარიცხვა და მხოლოდ ძირი თანხის დაფარვის ვალდებულება დარჩებათ ოჯახის წევრებს. თუ გარდაცვალება იყო მოულოდნელი, ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია თანხას სრულად აანაზღაურებს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, გასული წლის მეოთხე კვარტალში ყველაზე მეტი – 56.934.467 ლარის – უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს ბანკს გადაეცა, მეორე ადგილზეა თი-ბი-სი ბანკი, 46.754.801 ლარით, ხოლო მესამეზე – ბანკი „ქართუ“, 25.396.007 ლარით.

რადიო „თავისუფლება“

რა ღირს მიწა საქართველოში?

დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 კვადრატული მეტრის ფასი 100-2000 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ამის შესახებ sputnik.ge წერს.

საქართველოში მიწის ნაკვეთების ფასი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, ამიტომ, შესაძლოა ერთსა და იმავე ქალაქში, სოფელში ან თუნდაც უბანში კვადრატული მეტრის ღირებულება საგრძნობლად განსხვავდებოდეს.

მიწა ყველაზე ძვირი თბილისში ღირს. დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 კვადრატული მეტრის ფასი 100-2.000 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

საბურთალოზე კვადრატული მეტრის საბაზრო ფასი 100 დოლარიდან იწყება, სოლოლაკში – 400 დოლარიდან, ორთაჭალაში – 145, ჩუღურეთში – 250. ყველა ამ უბანში 2.000 დოლარს აჭარბებს. ქალაქის ცენტრში ყველაზე ძვირი მაინც ავლაბარია, სადაც ფასები 300 დოლარიდან იწყება და 4.000 დოლარს აღწევს.

ცოტა ნაკლები ღირს მიწა ვაკეში – 140-1 200 დოლარი, ვერაზე ფასები 1 კვ მეტრზე 300-დან 1200 დოლარამდე მერყეობს. ისანში – 100-600 დოლარია. დიდუბეში კი – 500-2 500.

შედარებით იაფია ნაკვეთები თბილისის გარეუბნებში, აქ კვადრატულ მეტრს 6 დოლარადაც იშოვით და 400 დოლარადაც.

მაგალითად, დიდ დიღომში 1კვ.მ მიწის ნაკვეთის ფასი 25-450 დოლარია, გლდანში – 20-350 დოლარი, თემქაზე – 35-180 თბილისის ზღვაზე – 10-85, ვარკეთილში – 10-300 დოლარია, აფრიკის დასახლებაში კი – 7- 40.

საქართველოს სხვა ქალაქებში კი ასეთი სურათია: ბათუმსა და ქუთაისში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კვადრატული მეტრის ფასი 20 დოლარიდან იწყება, ზუგდიდსა და თელავში – 10 დოლარიდან. კურორტ გუდაურის ცენტრში კი კვადრატული მეტრი 60 დოლარად იყიდება.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, ფასები აქაც განსხვავდება. მაგალითად, თბილისთან ახლოს, ტაბახმელაში ასეთი ტიპის ნაკვეთი საშუალოდ 35 დოლარად იყიდება, ანანურში – 15 დოლარად.

ზუგდიდის შემოგარენში მისი შოვნა 0,32 დოლარადაც შეგიძლიათ და 3 დოლარადაც, თელავში ამ ტიპის მიწის ფასი 0,48 დოლარიდან იწყება, სიღნაღში – 0,32 დოლარიდან. მარნეულში ფასები იწყება 0,81 დოლარიდან, ოზურგეთში – 0,57 დოლარიდან და 7 დოლარს აღწევს. ხოლო ამბროლაურში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კვადრატული მეტრი საშუალოდ 5 დოლარი ღირს.

სააგარაკე მიწის ნაკვეთებს კი თბილისთან ახლოს, მაგალითად, წავკისში ან ოქროყანაში, 20-35 დოლარის ფარგლებში შეიძენთ. 25-30 დოლარიდან იწყება კვადრატული მეტრის ფასი კიკეთსა და კოჯორში. ბორჯომში კი სააგარაკე მიწის შეძენა საშუალოდ 15-20 დოლარი დაგიჯდებათ.

sputnik.ge

„საქართველოს ტერიტორიების მყარი დაცვის ერთადერთი გარანტია მათი კერძო საკუთრებად ქცევაა“

– ეკონომიკის სამინისტროსგან მიღებული პასუხი, რომ ჩვენს მიერ წარდგენილი წინადადება წინააღმდეგობაში მოდის საკანონმდებლო აქტებთან, კატეგორიულად მიუღებელი და ყოველგვარ აზრს მოკლებულია. სამწუხაროდ, ეკონომიკის სამინისტროში არ აღმოჩნდა კომპეტენტური პირი, რომ გაეანალიზებინა რას ვთავაზობდით ან მინიმუმ მოლაპარაკების მაგიდასთან განგვეხილა ეს საკითხი, – ასე აფასებს „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის პრეზიდენტი“ რამაზ გერლიანი ეკონომიკის სამინისტროს პასუხს 767 პირის მიერ წარდგენილ პეტიციაზე.

რამაზ გერლიანი „კომერსანტთან“ ინტერვიუში ინიციატივის მნიშვნელობაზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, პირველ რიგში, რომ განმარტოთ, რას გულისხმობს პეტიცია – „საქართველოს ყოველი მოქალაქე ქვეყნის რეალურ მესაკუთრედ ვაქციოთ“?

– პეტიციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეებზე, შესაძლოა, საინვესტიციო ფული – 1.000 „ინვესტი“ გაიცეს, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ გაჩერებულ აქტივებს კერძო საკუთრებაში დაიკანონებენ, ანუ მოხდება პრივატიზება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიმდინარეობს ტრანსფორმაცია და სახელმწიფო საკუთრება გადადის კერძო მფლობელობაში, თუმცა ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა, რაც ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური პრობლემაცაა. ჩვენი ტერიტორიების მყარი დაცვის ერთადერთი გარანტია ამ ტერიტორიების კერძო საკუთრებად ქცევაა.

– რას გულისხმობთ პოლიტიკურ ასპექტებში? როგორ შეიძლება, რომ მასობრივი კერძო საკუთრების დამკვიდრება ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საფუძველი გახდეს?

– საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, პრაქტიკულად, არ გვხვდება კერძო საკუთრება. მიწა თუ სხვა აქტივი, რომელიც შესაბამისი დოკუმენტაციით კერძო საკუთრებად არაა აღიარებული კანონით სახელმწიფო საკუთრებად ითვლება. მუდმივად მიდის იმაზე აპელირება, რომ რუსებმა ვიღაცის ტერიტორია მიიტაცეს, ვიღაცის კუთვნილი მიწა მიისაკუთრეს, თუმცა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებმა ადამიანმა, რომ იჩივლოს საერთაშორისო ინსტანციებში ის უბრალოდ ვერ დაამტკიცებს, რომ ნამდვილად მისი კერო საკუთრება დაიკავა რუსეთმა, რადგან მას საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ექნება და გამგეობიდან მიღებული ცნობით, ცხადია, ვერაფერს დაამტკიცებს.

ორ სახელმწიფოს შორის დავას წინ ისედაც არაფერი არ უდგას და დამატებით იქნება ამ შემთხვევაში კერძო პირის, კერძო მესაკუთრის დავა ოკუპანტის მიმართ, რაც საქართველოსთვის რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი ბერკეტი იქნება საერთაშორისო ასპარეზზე იმის გათვალისწინებით, რომ კერძო საკუთრება მთელს მსოფლიოში ხელშეუხებელია. სამწუხაროდ, ეს სათანადოდ არაა გააზრებული.

ცხადია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებსაც შეუძლიათ „ინვესტები“ მიიღონ და კანონის შესაბამისად გახდნენ მესაკუთრეები, ეს დიდი ბენეფიტი იქნება საქართველოსთვის პოლიტიკური თვალსაზრისით.

გაუგებარია, რა უშლის ხელს სახელმწიფოს, რომ ადამიანებს მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგული თანამედროვე სტანდარტის მიხედვით დაუკანონოს მოქალაქეებს. ეს ფაქტი მუდმივად რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს ქვეყანას.

– ეკონომიკის სამინისტროს პოზიცია უკვე ცნობილია, რას გეგმავთ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტიც უარყოფით გადაწყვეტილებას მიიღებს?

– თუ პარლამენტმაც ეკონომიკის სამინისტროს პოზიცია გაიზიარა, ვაპირებთ, საინფორმაციო ბრიფინგის მოწყობას და ჩვენი ინიციატივის საჯარო განხილვას, ასევე მოწოდებას მთავრობის მიმართ აქციების სახით. სახელმწიფოს გულგრილობა ამ შემთხვევაში მომავალი თაობის მიმართ ჩადენილი დანაშაული იქნება.

ცნობისთვის, პეტიცია „დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა“ გასული წლის ბოლოს განიხილა და ეკონომიკის სამინისტროს გადაუგზავნა. კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია წინადადებას საინტერესოს უწოდებდა და აცხადებდა, რომ კომიტეტი აღნიშნულ თემაზე მუშაობას ეკონომიკის სამინისტროდან შემოსული მოსაზრებების გათვალისწინებით განაგრძობდა.

– პროექტის განხორციელება არაეფექტიანი იქნება ჯანსაღი ინვესტიციის მოზიდვისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ასევე სამინისტროს მიზანშეწონილად არ მიაჩნია პეტიციის პროექტი, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდის მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის სახელმწიფო ქონების შესახებ და საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ საქართველოს კანონებთან, – აღნიშნულია ეკონომიკის სამინისტროს პასუხში.

რომან კაკულია: „ანტიდემპინგურ კანონს აქვს ორი დატვირთვა – ეკონომიკური და პოლიტიკური“

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია ანტიდემპინგური კანონის მნიშვნელობას ორი ფაქტორით ხსნის – ეკონომიკურითა და პოლიტიკურით.

ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ კანონპროექტი, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა, უკვე მზადაა და სულ მალე დოკუმენტს პარლამენტი განიხილავს.

როგორც „კომერსანტს“ უწყებაში განუცხადეს, დოკუმენტი, როგორც საკანონმდებლო ინიციატივა, განსახილველად ჩასმულია 2019 წლის პირველ ნახევარში. შესაბამისად საქართველოს სამთავრობო უწყებებთან, შეთანხმების, ასევე კერძო სექტორთან და დაინტერესებულ პირებთან განხილვის შემდგომ მიეწოდება პარლამენტს.

– სიტყვის მოძებნა მიჭირს იმდენად ვართ ჩვენ, ხელისუფლება ორიენტირებული მხოლოდ თავისუფალი ბაზრის სიკეთეებზე და ზოგადად ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობაზე. ამის გამო, საზოგადოებაში შექმნილია განცდა, რომ ჩვენთვის მთავარი სიტყვა არის ინვესტორი და ეკონომიკური ზრდა. ის, რომ ხალხის ინტერესის დაცვაზეც ფიქრობს ხელისუფლება, სამწუხაროდ გარკვეული კლიშეების გამო ნაკლებად ვახერხებთ რაიმე კუთხით ესეც გამოვავლინოთ. აი, ამ არასწორი განცდების გამო კანონს აქვს პოლიტიკური დატვირთვა. ზოგადად, მთავრობას გვინდა, რომის პაპზე მეტი კათოლიკე ვიყოთ საბაზრო ეკონომიკაში, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეში. არადა, ეს მსოფლიომ უკვე გაიარე და არც მე ვსაუბრობ ახლა რაიმე ისეთ წესებზე კანონის ირგვლივ, რასაც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები არ იცნობენ, – განმარტავს კაკულია.

გარდა იმისა, რომ საზოგადოებას აქვს არასწორი განცდები ხელისუფლებს შესახებ, კაკულიას თქმით, ბევრ მეწარმეს შეუსაბამო წარმოდგენები აქვს ადგილობრივ ბაზარზეც. ხშირად, ბიზნესმენი ბუნებრივად ვერ ადაპტირდება კონკურენტულ გარემოსთან, რასაც ინვესტორის მიერ შეთავაზებული პროდუქტის ღირებულებას აბრალებს. ასეთ დროს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებაც იზრდება, ამიტომაც ანტიდემპინგური კანონი მცდარი განცდებისა და წარმოდგენების გავრცელებას ხელს აუცილებლად შეუშლის.

– მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი თავისი შინაარსით პასიურია, მაინც დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს ყველა იმ მიზეზის გამო, რაც ჩამოვთვალე. თუმცა, თავისთავად, მისი მიღება არ ნიშნავს, რომ ახლა ჩვენ ვინმეს დავეტაკებით და დაიწყება ინვესტორების უსამართლო ჩაგვრა. ასე არ იქნება, – ამბობს რომამ კაკულია.

რაც შეეხება ეკონომიკურ ნაწილს, ამ შემთხვევაში, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე აქცენტს აკეთებს კვალიფიკაციაზე, ინსტიტუციურ განსაზღვრასა და მეთოდოლოგიის დახვეწაზე.

– უნდა განვმეორდე, ჩვენ ძალიან ხშირად გვაქვს საქმე ისეთ ქვეყნებთან, რომელთაც შეუძლიათ ერთი ცენტით მოიმატონ თავიანთი ღირებულება და პროდუქტი ასე შემოიტანონ ბაზარზე. სინამდვილეში ეს შესაძლოა საერთოდ არ იყოს დემპინგი. პარალელურად, ადგილობრივმა საწარმოებმა შეიძლება უბრალოდ კონკურენციას ვერ გაუძლონ, თუმცა მაინც ჰგონიათ რომ იჩაგრებიან. ზუსტად ამის გამო, კანონს აქვს ძალიან დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა, – აღნიშნავს რომან კაკულია.

შეგახსენებთ, ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ კანონპროექტი განსაზღვრულია საგარეო ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებისა და გამოყენების, ასევე განსაზღვრავს სპეციალური კვლევის განხორციელების ძირითად წესს და კვლევის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური იმპორტის პირობებში. კანონპროექტი ითვალისწინებს დემპინგურ იმპორტზე წინასწარი და სპეციალურ ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებას.

ეროვნული ბანკი: „ინფლაციაზე ზეწოლას პურისა და თამბაქოს გაძვირება მოახდენს“

– 2018 წლის მსგავსად, ფასებზე აღმავალი ზეწოლა ძირითადად კვლავ ერთჯერად ფაქტორებს ექნება – თამბაქოზე გაზრდილი აქციზის გადასახადისა და პურპროდუქტებზე მომატებული ფასების სახით.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მონეტარული პოლიტიკის ანგარიშშია საუბარი.

2019 წელსაც ისევე, როგორ 2018 წელს, ეროვნული ბანკის სამიზნე ინფლაცია 3% იქნება. სებ-ის შეფასებით, ამ გარემოებას ქვეყანაში არსებული ჯერ კიდევ სუსტი ერთობლივი მოთხოვნა დააბალანსებს.

ამასთანავე, ანგარიშში წერია, რომ ქვეყანაში ინფლაცია შეიძლება განსხვავებული იყოს, თუ შემდეგი რამ მოხდება:

– ინფლაცია შესაძლოა განსხვავებული აღმოჩნდეს მისი პროგნოზირებული მნიშვნელობისგან, თუკი ადგილი ექნება ნაკლებად მოსალოდნელი, მაგრამ შესაძლებელი ფაქტორების რეალიზაციას. ერთი მხრივ, რეგიონში გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაუარესების ფონზე, საგარეო შოკის გამწვავებამ შესაძლოა გამოიწვიოს სამომხმარებლო ფასების პროგნოზირებულზე უფრო მაღალი ზრდა. კერძოდ, აღნიშნული რისკის რეალიზაციისას აიწევს რეგიონის ქვეყნების (მათ შორის, საქართველოს) რისკპრემია, რაც ადგილობრივი ვალუტების გაუფასურებაში აისახება და უცხოური ვალუტის სესხების მომსახურების ხარჯის ზრდის ფონზე, წლიურ ინფლაციას პროგნოზირებულზე მეტად გაზრდის.

ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლის მიზეზი შესაძლოა ასევე იყოს სასაქონლო პროდუქციაზე (ნავთობი, სურსათი) საერთაშორისო ფასების მკვეთრად მატება. მეორე მხრივ, სამომხმარებლო ფასებს, პროგნოზირებულთან შედარებით, შემცირებისკენ შესაძლოა უბიძგოს ადგილობრივი მოთხოვნის შესუსტებამ, რაც დამოკიდებული იქნება როგორც ფისკალური სტიმულის ზომაზე, ასევე საკრედიტო აქტივობის ზრდის ტემპზე. მიუხედავად ბოლოდროინდელი დადებითი ტენდენციისა, აშშ-სა და მის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს შორის „სავაჭრო ომის“ ესკალაციაც გარკვეული რისკის მატარებელია. თუ აღნიშნული ფაქტორი დოლარის გლობალურ გაუფასურებას გამოიწვევს, ლარის შესაბამისმა გამყარებამ, შესაძლოა, ფირმების სესხების მომსახურების ტვირთი და ინფლაციის მოლოდინები შეამციროს, რაც, საბოლოოდ, სამომხმარებლო პროდუქციის გაიაფებაში აისახება, – წერია ანგარიშში.საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის იანვარში წლიური ინფლაცია 2.2% იყო. საქონლის ჯგუფებიდან ყველაზე მეტად ფასები თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ჯგუფზე გაიზარდა, რამაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.66 პროცენტული პუნქტით იმოქმედა. სურსათის ფასები კი, 3.2%-ით არის გაზრდილი. მათ შორის პურის და პურპროდუქტების ფასის ზრდა 10%-ს შეადგენს.

ირაკლი იაშვილი დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობას კურორტის გენგეგმის არარსებობის გამო ვერ იწყებს

ბიზნესმენ ირაკლი იაშვილის ტურიზმის სფეროში შესვლასთან დაკავშირებით „კომერსანტისთვის“ ახალი დეტალები ხდება ცნობილი – ეს იქნება დასასვენებელი კომპლექსი, რომელიც ერთ-ერთ საკურორტო ზონაში მოეწყობა.

უმსხვილესი გადამზიდავი კომპანიის „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და ღვინის მწარმოებელი კომპანია „ვაზიანის“ ხელმძღვანელ ირაკლი იაშვილის განცხადებით, პროექტით გრანდიოზული დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობაა გათვალისწინებული, რომლის ოპერატორადაც, სავარაუდოდ, საერთაშორისო ბრენდი შემოვა.

რომელ საკურორტო ზონაში იგეგმება კომპლექსის მშენებლობა, რა ბრენდის ქვეშ იფუნქციონირებს და რა ოდენობის ინვესტიცია ჩაიდება პროექტის განხორციელებაში, ამაზე იაშვილი ამ ეტაპზე არ საუბრობს.

– იმ საკურორტო ზონაში, სადაც კომპლექსის მშენებლობას ვგეგმავ, უკვე სამი წელია გენგეგმაზე მუშაობა მიდის. ამდენი ხნის მანძილზე სახელმწიფომ ეს პრობლემა ვერ მოაგვარა. არადა, მეგონა, ერთ წელიწადში დასრულდებოდა. დიდ ტერიტორიას ვფლობთ, როგორც კი დასრულდება, მუშაობას დავიწყებთ, მაგრამ ასეთი ტემპებით თუ გაგრძელდა, როდის დავიწყებთ, არც ვიცი, – აღნიშნავს იაშვილი.

რაც შეეხება ფინანსებს, იაშვილის განმარტებით, პროექტში ნაწილი მისი საკუთარი კაპიტალი ჩაიდება, ნაწილის მოზიდვას კი საერთაშორისო ინსტიტუტებიდან გეგმავს.

შეგახსენებთ, ირაკლი იაშვილი რომ ტურიზმის სექტორში შედიოდა, ამის შესახებ „კომერსანტს“ ბიზნესმენმა 2016 წელს ექსკლუზიურად განუცხადა.

– ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ვმუშაობ ახალი პროექტის განხორციელებაზე. ახლა შესწავლის პროცესში ვართ. ამ დროისთვის რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ეს ტურიზმის სფერო იქნება, – განაცხადა მაშინ იაშვილმა.

სოციალურმა მუშაკებმა სისტემური ცვლილებების მოთხოვნით ჯანდაცვის სამინისტროს წერილით მიმართეს

სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები სისტემურ ცვლილებებს ითხოვენ. მათ ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი წერილით მიმართეს.

განცხადება 20 პუნქტს მოიცავს და თითოეულში დასაბუთებულია, რატომ არის საჭირო ცვლილებების განხორციელება. 20-პუნქტიან განცხადებაში სოციალური მუშაკები ითხოვენ, შეიქმნას და დაინერგოს სოციალური მუშაკების პროფესიული განვითარების სქემა. დაუყოვნებლივ შეიქმნას რეაგირების ჯგუფი მეურვეობისა და მზრუნველობის სისტემაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ასევე დაუყოვნებლივ გაიზარდოს ყველა სერვისცენტრში სოციალური მუშაკების რაოდენობა.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ სოციალურ მუშაკთა შეშფოთება გამოიწვია სერვისცენტრებში არსებულმა რთულმა ვითარებამ და ოთხი წლის გოგონას გარდაცვალების შემდეგ სააგენტოში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია.

შეგახსენებთ, 6 თებერვალს სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევისა და დიდუბე-ჩუღურეთის სერვისცენტრების თანამშრომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სამსახურის დატოვების შესახებ განცხადებები დაწერა. მიზეზად ისინი გაზრდილ მომართვიანობასა და საქმეების დიდ რაოდენობას ასახელებდნენ, რომელზე მუშაობასაც თანამშრომელთა შემცირებული რაოდენობა არ ყოფნიდა.

გლდანი-ნაძალადევისა და დიდუბე-ჩუღურეთის სერვისცენტრებიდან 4 წლის გოგონას გარდაცვალების შემდეგ ოთხი სოციალური მუშაკი დაითხოვეს.

1TV.GE

ქურდული გარჩევა სკაიპით

სამშენებლო კომპანია „აპოლოს“ ხელმძღვანელს კრიმინალები ფულს სძალავდნენ

სამშენებლო კომპანია „აპოლოს“ ხელმძღვანელს კრიმინალური ავტორიტეტები ფულს სძალავდნენ.

საქმეში ფიგურირებს ინტერპოლით ძებნილი კანონიერი ქურდი, მეტსახელად „სუხო,“ რომელიც გარჩევაში სკაიპით ჩაერთო.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, საქმის გარჩევა მოხდა ე.წ. ქურდული წესით და ამ პროცესს სწორედ „სუხო“ ხელმძღვანელობდა.

– გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 27 იანვარს ქალაქ თბილისში, ერთერთ საცხოვრებელ ბინაში, მოქალაქესა და ბიზნესმენს შორის არსებული უთანხმოების გადაწყვეტის მიზნით ქურდული შეკრება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა კრიმინალური სამყაროს 5 წარმომადგენელი.

ამავე შეკრებაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩაერთო 2016 წლიდან ინტერპოლის ცირკულარით ძებნილი ე.წ. კანონიერი ქურდი სულხან ჯაფარიძე, იგივე „სუხო“ თვალჭრელიძე, რომელმაც თავისი კრიმინალური გავლენის გამოყენებით მხარეებს შორის უთანხმოება ქურდული წესებით გადაწყვიტა, – განაცხადა კახაბერ საბანაძემ.

შს მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ბინაში, სადაც მოხდა ქურდული გარჩევა, სასამართლოს განჩინებით სამართალდამცავებს დამონტაჟებული ჰქონდათ სათვალთვალო კამერა. კახაბერ საბანაძის განცხადებით, საქმეში მტკიცებულებად აღნიშნული ვიდეომასალაც დევს.

საქმეზე 5 პირია დაკავებული. მათ 6-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. ინტერპოლით ძებნილ ქართველ კანონიერ ქურდ სულხან ჯაფარიძეს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინება.

დაკავებული არიან: 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.რ, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ს., 1980 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ი.მ., 1948 წელს დაბადებული შ.ქ. და 1975 წელს დაბადებული მ.კ.

დაკავებულებს გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობას, ქურდულ გარჩევაში მონაწილეობას და ქურდული საქმიანობის მხარდაჭერას ედავება.

პოლიციამ თბილისში, დაკავებულების საცხოვრებელი ბინებისა და ავტომანქანების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო სხვადასხვა ტიპის, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

თბილისში, ორთაჭალაში, ტრანსგენდერ ქალს სცემეს

თბილისში, ორთაჭალაში, 10 თებერვალს გვიან ღამით ტრანსგენდერს ქალს სცემეს. დაზარალებულის განმარტებით, კლიენტმა, რომელიც, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ნაცემმა ქალმა დახმარება მეგობარს სთხოვა, რის შემდეგაც ადგილზე პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფი გამოიძახეს.

– გადმოვიდა ფიზიკური შეურაცხყოფით, ტუჩი გამიხეთქა, დამარტყა, მეგობარმა დამირეკა ზუსტად მაგ დროს და მეთქი თანამშრომელი მირეკავს, მოსული არის, უნდა შევხვდე და რას ჰქვია თანამშრომელი გირეკავსო, ტელეფონის წართმევა სცადა, ვერ წამართვა იმის გამო, რომ მეც შევებრძოლე, – ყვება ნაცემი ტრანსგენდერი.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 178-ე მუხლებით მიმდინარეობს.

სამართალდამცველებმა დამნაშავის დაკავება ადგილზე შეძლეს.

თემურ მანველიშვილს, რომელმაც გიგა მაქარაშვილს ნაგვის ვედრო ჩამოამხო, 5.000 ლარიანი გირაო შეუფარდეს

გორის რაიონულ სასამართლოში გუშინ, 11 თებერვალს, თემურ მანველიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელეს.

თემურ მანველიშვილს 5 ათას ლარიანი გირაო შეუფარდეს. პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დაკმაყოფილდა, ხოლო მანველიშვილი თავდებობას ითხოვდა.

გორის მერიის ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახურის უფროსმა თემურ მანველიშვილმა 2018 წლის ოქტომბერში სამოქალაქო აქტივისტ გიგა მაქარაშვილს ვედრო ჩამოამხო.

პროკურატურის პრესსამსახურის განცხადებით, გიგა მაქარაშვილი დაზარალებულად ჯერ კიდევ 16 იანვარს ცნეს. მანველიშვილმა თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება 8 თებერვალს მიიღო, პროკურატურამ კი ბრალი 9 თებერვალს წაუყენა.

სასამართლო სხდომაზე დასასწრებად ჩავიდა დაზარალებული გიგა მაქარაშვილი, რომელიც მანდატურებმა სხდომაზე არ შეუშვეს.

ვალერი ირემაძე ფსიქიატრიულში გადაიყვანეს

„ის ამბობდა, რომ გარესამყაროსგან იღებდა აბსურდულ დავალებებს“

13 წლის მოზარდის მკვლელობაში ბრალდებულის დაკითხვა 10 თებერვალს გვიან ღამემდე გაგრძელდა. ვალერი ირემაძე წინასწარი მოთავსების იზოლატორიდან, ექიმების გადაწყვეტილებით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს.

დაკავებულის ადვოკატი გამოკითხვის დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა აცხადებს, რომ შესაძლოა, მოითხოვოს მუხლის გადაკვალიფიცირება.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

– დაცვის მხარის მიერ არანაირი მტკიცებულებები მოპოვებული არ არის. თუკი ვინმეს საკითხი გამოიკვეთება, რომ ვინმეს გულგრილობით მოხდა ეს ფაქტი, რეაგირება დაცვის მხარეს გვექნება, – ამბობს ადვოკატი ზურაბ დალაქიშვილი.

რუსთავში, 13 წლის ბავშვის მკვლელობის ბრალდებით ბიძა დააკავეს. მან მოზარდს ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ოჯახის ახლობელი ყვება, რომ 13 წლის ბავშვი ბიძის, ვალერი ირემაძის, მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა.

რაც შეეხება ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამირან ჯანჯღავა აცხადებს, რომ „ბოლო პერიოდში დაკავებულს აღენიშნებოდა ჰალუცინაცია, ის იყო არაადეკვატური, ვერ აცნობიერებდა არსებულ გარემოს, ჰქონდა მოჩვენებითი სამყაროს მიმართ მყარი მიდრეკილება. ის ამბობდა, რომ გარესამყაროსგან იღებდა აბსურდულ დავალებებს“.

– ბავშვი ბიძის მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა. მას ძალიან დიდი ამაგი აქვს ბავშვის აღზრდაში. რომ არა შეურაცხადობა და გაუაზრებელი ქმედება, ეს შედეგი არ დადგებოდა, – განაცხადა ბრალდებულის ახლობელმა.

გურჯაანის სასამართლოში დღეს დავით კირკიტაძის პროცესი გაიმართება

ნაციონალური მოძრაობის წევრის, დავით კირკიტაძის მხარდამჭერები და პარტიის ლიდერები კირკიტაძის მხარდასაჭერად გურჯაანში ჩასვლას გეგმავენ. ამ ეტაპზე უცნობია, პარტიის რომელი ლიდერები დაესწრებიან სასამართლო სხდომას, თუმცა მათი ნაწილი კა-

ხეთში ჩასვლას გეგმავს.

გურჯაანის რაიონულ სასამართლოში დღეს, 12:00 საათზე, დავით კირკიტაძის საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართება.

სასამართლო პროცესზე მოხდება კირკიტაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გადასინჯვაც.

დავით კირკიტაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით აქვს წაყენებული, რაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

ვალესა და ბათუმის აეროპორტში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ვალე“ და ბათუმის აეროპორტში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

„31 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ვალე“ და „ბათუმის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ისრაელისა და თურქეთის მოქალაქეების კუთვნილი ხელბარგების დათვალიერებისას, ნარკოტიკული (18 აბი) და ფსიქოტროპული (11 აბი) ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. აღნიშნულ ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე, 261-ე, 262-ე და 263-ე მუხლების 1-ელი ნაწილით დაიწყო, რაც ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვას და საქართველოში უკანონოდ შემოტანას გულისხმობს. დანაშაული 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ზაქარია ქინქლაძეს პატიმრობა შეეფარდა

თელავის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, კახეთის რეგიონული სამმართველოს სწრაფი რეაგირებისა და პატრულირების განყოფილების უფროსს ზაქა-

რია ქინქლაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

ზაქარია ქინქლაძეს ბრალად ედება ხეტყის გადამამუშავებელი საწარმოს დირექტორისგან, რამაზ ლეფსვერიძისგან, ქრთამის აღება იმის სანაცვლოდ, რომ მისთვის, ხე-ტყის უკანონო ჭრისას და რეალიზაციისას, მფარველობა გაეწია.

სასამართლომ ამავე საქმეზე დაკავებული 4 პირი პატიმრობაში დატოვა.

დაცვის მხარე ბრალდებულებისთვის გირაოს შეფარდებას ითხოვდა, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2 აპრილს გაიმართება.

ყოფილი ცოლი ზურგში დაჭრა და მიიმალა

რა მოხდა ელიავას ბაზრობაზე

გუშინ, 11 თებერვალს, თბილისში 43 წლის ქალი დანით დაჭრეს.

შემთხვევა ელიავას ბაზრობის მიმდებარედ, ერთ-ერთ ავტოსადგომზე მოხდა. გავრცელებული ვერსიით, ქალი მისმა ყოფილმა მეუღლემ დაჭრა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

როგორც თვითმხილველი ამბობს, ქალს მამაკაცმა ჭრილობა ზურგის არეში ცივი იარაღით მიაყენა.

პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

როგორც ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე მარინა გელანტია ამბობს, ქალს ერთი ჭრილობა ზურგში, ნეკნების არეში ჰქონდა მიყენებული.

– სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ შემოყვანილ 43 წლის ქალბატონს აღენიშნებოდა ზურგის არეში, მესამე ნეკნის საპროექციო არეში დანით მიყენებული ჭრილობა, პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, – ამბობს გელანტია.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ბრიტანეთი რუსეთთან დაპირისპირებისთვის ემზადება

იტალიას სანქციების გაუქმება სურს



ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ულიამსონმა განაცხადა, რომ ბრექსიტის შემდეგ მისი ქვეყანა აქტიურად დაუპირისპირდება მათ, ვინც საერთაშორისო კანონებს არღვევს.

– მხედველობაში მაქვს რუსეთი! ჩვენ ვემზადებით იმისთვის, რომ მოსკოვს დავუპირისპირდეთ, – აცხადებს უილიამსონი.

ამასობაში იტალიას რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება სურს.

ქვეყნის ვიცე-პრემიერმა ლუიჯი დი მაიომ განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ბიზნესს ზიანს აყენებს. ამიტომ ან უნდა აუნაზღაურონ ზარალი, რომელსაც ამის გამო განიცდიან, ან სანქციები გააუქმონ.

ასეთმა გამოსვლამ უკრაინელები აღაშფოთა. უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ ჟურნალისტებთან საუბრისას ახლო წარსულში მოკლე ექსკურსი გააკეთა. მან თქვა, რომ ბენიტო მუსოლინი ძირითადად ეგოისტური ინტერესებიდან გამოდიოდა, რამაც იტალიას კრახი მოუტანა.

– მუსოლინი ანძაზე დაკიდეს, იტალია კი ამერიკელების მიერ იქნა ოკუპირებული. ასე რომ, გირჩევთ, წარსულის გაკვეთილები კარგად შეისწავლოთ, – თქვა ლიაშკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დედათა რისხვის დღე რუსეთში

რუსეთში დემოკრატი აქტივისტის ანასტასია შევჩენკოს (დონის როსტოვი) დაკავებას აჟიოტაჟი მოჰყვა.

სასამართლომ შევჩენკოს შინა პატიმრობა მიუსაჯა. მისი ქალიშვილი, რომელიც მძიმედ იყო დაავადებული, საავადმყოფოში იმყოფებოდა. იანვრის ბოლოს ქალიშვილი გარდაიცვალა.

– ქალი არ ვიყო, თუ პუტინს ჩემი შვილის სიკვდილი შევარჩინო! – განუცხადა ჟურნალისტებს ანასტასიამ.

რუსეთის რიგ ქალაქებში, მათ შორის მოსკოვშიც, აღშფოთებული ხალხი ქუჩაში გამოსვლით იმუქრებოდა.

– განრისხებული დედები ანასტასია შევჩენკოს სოლიდარობას ვუცხადებთ, – სოციალურ ქსელებში გავრცელდა ასეთი მიმართვა.

ხელისუფლებამ პოლიცია და ომონი სრულ მზადყოფნაში მოიყვანა. დაიწყო აქციების მონაწილეთა დაკავებები.

მიუხედავად ამისა, აქციები მაინც შედგა.

რუსული კანონების თანახმად, ყველა აქციას ხელისუფლების ნებართვა სჭირდება. მოსკოველები კი ქუჩაში ყოველგვარი სანქციების გარეშე გამოვიდნენ. იმ ადგილას, სადაც ისინი შეიკრიბნენ, პროკრემლური მოძრაობის მონაწილენიც მიცვივდნენ. მათი წინამძღოლი გოშა ტარასენკოვი აქციის წევრებს დაერია:

– აი, თქვე ამერიკის აგენტებო! ყველას ჩაგქოლავთ, თქვენი დედა!

ტარასენკოვი აქციის ერთ-ერთ მონაწილეს ქეჩოში სწვდა და გაყვანა დაუპირა. პასუხად ყბაში საკმაოდ კვალიფიციური დარტყმა მიიღო. პუტინის მეხოტბე დაეცა. ამის შემდეგ ომონი აქციის მონაწილეებს ხელკეტებით დაერია.

საპროტესტო აქცია დაშალეს. მისი ზოგიერთი მონაწილე დააკავეს.

პეტერბურგში აქციის მონაწილენი შეეცადნენ, ხელისუფლება არ გაეღიზიანებინათ. ისინი ქუჩაში ულოზუნგებოდ, ჩუმად მიდიოდნენ. მიუხედავად ამისა, ომონი მათ მაინც თავს დაესხა. აქცია დაშალეს, ცალკეული წევრები კი დააკავეს.

საპროტესტო აქციების მოწყობის მცდელობას რუსეთის სხვა ქალაქებშიც ჰქონდა ადგილი. ხელისუფლებამ ყველგან ძალა გამოიყენა და აქციები დაშალა.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, ქუჩაში გამოსვლა და საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობა გმირობაა. დედათა რისხვის დღემ გვიჩვენა, რომ მოსახლეობა შიშისაგან ნელ-ნელა თავისუფლდება. მომავალში აქციების მასშტაბები გაიზრდება.

მიტინგი ფსკოვში

ფსკოვში ჟურნალისტ სვეტლანა პროკოპიევასადმი სოლიდარობის მიტინგი შედგა. პროკოპიევა თავისი პოზიციის გამო ხელისუფლებისაგან შევიწროებას განიცდის.

მიტინგის ორგანიზატორი „იაბლოკოს“ ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელი შლოსბერგი იყო.

შეკრებას 200 ადამიანი დაესწრო.

თვითმარქვიამ მოახერხა, რომ ორი წელი პლასტიკურ ქირურგად ემუშავა

რუმინეთში დააკავეს თაღლითი, რომელიც რამდენიმე წელი თავს პლასტიკურ ქირურგად ასაღებდა.

მატეო პილიტი რუმინეთში იტალიიდან 2016 წელს ჩავიდა, სადაც მას მხოლოდ რვა კლასის განათლება ჰქონდა მიღებული და ავტოსადგომზე მუშაობდა. მან სამედიცინო განათლების დამადასტურებელი ყალბი საბუთები კოსოვოში იყიდა. ახლად გამომცხვარი ექიმი სოციალურ ქსელებში საკუთარ თავს აქტიურად უკეთებდა რეკლამას მეთიუ მოუდის სახელით და ამტკიცებდა, რომ ის მსოფლიო სახელის მქონე ექიმი იყო, რომელსაც განათლება აშშ-ში ჰქონდა მიღებული და სადაც ოპერაციებს ცნობილ ვარსკვლავებს უკეთებდა.

ბუქარესტში მან მოახერხა, რომ პლასტიკური ქირურგიის ერთდროულად ოთხ კერძო საავადმყოფოში მოწყობილიყო სამუშაოდ, სადაც სხვადასხვა ოპერაციებსა და კოსმეტიკურ პროცედურებს აკეთებდა. პილიტის წარმატებას მისი ერთ-ერთი კოლეგა, პლასტიკური ქირურგი ადინა ალბერტსი, მისი სამედიცინო თემაზე მოხერხებულად საუბრის უნარით ხსნის.

– ის შესანიშნავად საუბრობდა მედიცინაზე, მის საუბარში პროფესიონალიზმი ჩანდა, თუმცა საოპერაციოში მუშაობის დროს მე და ჩემმა მედდებმა შევნიშნეთ, რომ რაღაც ისე ვერ იყო, – ამბობს ალბერტსი.

პილიტის თვალთვალი დაუწყეს და დარწმუნდნენ, რომ მას მედიცინასთან არაფერი აკავშირებდა. როდესაც თაღლითი მიხვდა, რომ ის გაიშიფრა, გაქცევა სცადა. იტალიელი უნგრეთის საზღვარზე დააკავეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

მუცლის დასაპატარავებლად მისულ ქალს ცხვირის ოპერაცია გაუკეთეს

ამერიკელი ქალბატონი, სახელად მერიელი, ჟურნალისტებს მოუყვა თუ როგორ გაუკეთეს ცხვირის პლასტიკური ოპერაცია მისი ყოველგვარი თანხმობის გარეშე.

მერიელი 19 წლის ასაკში პერუში ნათესავებთან გაემგზავრა, სადაც პლასტიკური ოპერაციის იაფად გაკეთებაა შესაძლებელი. გოგონა ძალიან განიცდიდა საკუთარ ზედმეტ წონას და მუცლის ლიპოსაქციის გაკეთება სურდა – პროცედურა, რომლის დროსაც მუცლიდან ცხიმის მოშორება ხდება.

ჩასვლის მეორე დღესვე გოგონამ ერთ-ერთ ადგილობრივ ცნობილ ქირურგს მიმართა. ის დათანხმდა მისთვის ოპერაციის გაკეთებაზე და აუხსნა, რომ ოპერაცია სწრაფად და უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. ამიტომ მას სანერვიულო არაფერი ჰქონდა.

მერიელი მეორე დღესვე მივიდა ოპერაციის გასაკეთებლად. როდესაც გოგონა ოპერაციის შემდეგ გონს მოვიდა და თვალი გაახილა, შენიშნა, რომ ცხვირზე სახვევი ედო. ექიმმა კი მას უთხრა, რომ ლიპოსაქციასთან ერთად რინოპლასტიკაც გაუკეთეს და ცხვირის ფორმა შეუცვალეს. ამან გოგონა ძალიან გაანაწყენა, ვინაიდან საკუთარი ცხვირის ფორმით სრულიად კმაყოფილი იყო.

როდესაც მერიელიმ ცხვირიდან სახვევი მოიხსნა, შენიშნა, რომ ნესტოები დავიწროებული ჰქონდა, სასუნთქი გზები დაზიანებული, ხოლო ცხვირის ფორმა ძალიან შეცვლილი. ის შეეცადა ექიმს დაკავშირებოდა და საკუთარი უკმაყოფილება გამოეხატა, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ ექიმი სამართალდამცავებმა დააპატიმრეს და ის ციხეში გარდაიცვალა.

მერიელის მხოლოდ 41 წლის ასაკში მიეცა ცხვირის ადრინდელი ფორმის დაბრუნების შესაძლებლობა და მან ოპერაციის შემდეგ გადაწყვიტა, რომ საკუთარი ისტორიის შესახებ ჟურნალისტებთან ესაუბრა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბეჟანიშვილის რეკორდი, ბითაძის ტრავმა

დეონ ტომასმა სამახსოვრო ფოტო გადაიღო გიორგი ბეჟანიშვილთან, თან თითი ქართველისკენ გაიშვირა, რითიც მინიშნება გააკეთა რომ, ამიერიდან რეკორდის მფლობელიაო. ვინაა დეონ ტომასი და რა რეკორდზეა საუბარი, ალბათ დაგაინტერესებთ.

20 წლის ბეჟანიშვილმა ამერიკის სტუდენტური ლიგის ბიგ 10-ის საკონფერენციო მატჩში რატჯერსს 35 ქულა ჩაუგდო და ილინოის ფაითინ ილინის რეკორდი მოხსნა. აქამდე ამ უნივერსიტეტის გუნდში ფრეშმენის ჩაგდებული ქულების მაქსიმუმი 34 იყო, რომელიც 1990 წელს სწორედ ტომასმა მოაგროვა.

ახლა უკვე ჭარმაგი ტომასი რატჯერსთან თამაშს ესწრებოდა და ნამატჩევს გიორგი ბეჟანიშვილს წარმატება პირადად მიულოცა. ილინოისმა მეტოქე ოვერტაიმში – 99:94 დაამარცხა და ძალიან ძლიერ კონფერენციაში წარმატებული მატჩების სერია სამამდე გაზარდა. ბოლო 5 მატჩიდან ილინოისელებს 4 მოგება აქვთ და მათ ძლეულ გუნდებს შორის არიან მთელი სტუდენტური ლიგის (450-ამდე გუნდი) რეიტინგით 15 საუკეთესოს შორის მყოფი მერილენდი (13) და მიჩიგან სტეიტი (9).

ბეჟანიშვილზე კი, უკვე მთელი ილინოისი ლაპარაკობს. მისი სახელი ამ შტატის სპორტის მოყვარულებს აქამდე თუ არ ჰქონდათ გაგონილი, ახლა აუცილებლად ეცოდინებათ. ილინოისში ბეჟანიშვილი უზომოდ პოპულარული გახდა – ართმევენ ავტოგრაფებს, იწვევენ გადაცემებში და მისი გვარი ყველაზე ხშირად ისმის საკალათბურთო სიუჟეტების დროს. ქართველი კალათბურთელი ყველა სკაუტს ჰყავს შეყვანილი პერსპექტიული მოთამაშეების საკუთარ სიაში და თუ ასე გააგრძელა, ბეჟანიშვილით სერიოზულად დაინტერესდებიან ნბა-ს გუნდებიც. წამყვან კონფერენციაში, სახელიან გუნდებთან 20, 22 და 35 ქულების ჩაგდება უბრალო საქმე როდია.

ბეჟანიშვილის პლუსი ისაა, რომ 20 წლის ასაკში პროგრესს განიცდის. თუ აქამდე კარგი მონაცემების, ჩვეულებრივი ყოჩაღი კალათბურთელი იყო, ბოლო თვეებში უდიდესი აღმასვლა განიცადა და ტოპ-გუნდებთან მატჩებში დაამტკიცა, რომ დიდი კალათბურთის თამაში შეუძლია.

ილინოისის წარმატებები პირდაპირ კავშირშია ქართულ-ავსტრიული მოქალაქეობის მქონე ბეჟანიშვილთან, რომელმაც წინა მატჩში მიჩიგანელებს 16 ქულა ჩაუგდო, მიმდინარე სეზონში კი საშუალოდ 12.2 ქულას, 5 მოხსნას და 0.9 პასს აგროვებს. ბეჟანიშვილი ილინოის ფაითინ ილინის ხუთეულის უცვლელი წევრი გახდა და ეს ფრეშმენისთვის უკვე სოლიდური ავანსია.

უცხო სიტყვაც მოხვდა ყურს, არა? ამერიკის უნივერსიტეტთა სტუდენტების სასწავლო წლების დეფინიციით პირველ წელს სტუდენტს ჰქვია ფრეშმენი, მეორე წელს – სოფმორი, მესამეში – ჯუნიორი და ბოლო, მეოთხე წელს – სენიორი. ბეჟანიშვილი 20 წლისაა, თუმცა, რაკი შარშან ჩაბარა ილინოისის უნივერსიტეტში და პირველი წელია, საკალათბურთო გუნდში თამაშობს, ფრეშმენის სტატუსს ატარებს.

საიდან მოხვდა ბეჟანიშვილი ილინოისში, უკვე ვწერდით, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ. ბეჟანიშვილი ამერიკაში ავსტრიიდან ჩავიდა, სადაც ბუნდესლიგის გუნდს კლოშტერნებურგ დაქსში თამაშობდა. ავსტრიაში რუსთავიდან აღმოჩნდა – იქ დაიბადა და კალათბურთის თამაში არაერთი თაობის აღმზრდელ ოთარ ხმელიძესთან დაიწყო. მისი მშობლები ემიგრაციაში ავსტრიაში წავიდნენ და ბეჟანიშვილიც საცხოვრებლად ცენტრალურ ევროპაში გადავიდა, მოქალაქეობა იქ მიიღო, მაგრამ საქართველოსი არ დაუთმია. ბეჟანიშვილს ამჯერად ორმაგი მოქალაქეობა გააჩნია, თუმცა არც ერთი ქვეყნის არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია. მისი ტალანტი ამერიკელმა სკაუტებმა შეამჩნიეს და ილინოისის უნივერსიტეტში გადასვლა შესთავაზეს, სადაც სწავლა 100 პროცენტით დაუფინანსეს და საკალათბურთო გუნდ ილინოის ფაითინ ილინის ხუთეულშიც ჩასვეს.

ბეჟანიშვილზე პრეტენზია ავსტრიელებსაც აქვთ. ცხადია, დასაკარგი კალათბურთელი არ არის და ცუდი იქნება, თუ ავსტრიელები დაგვასწრებენ და ცხვირწინ აგვაცლიან სანაკრებო კალათბურთელს.

ბეჟანიშვილმა მიმდინარე სეზონში 24 მატჩი ჩაატარა და 20-ქულიანი ბარიერი 4-ჯერ დაძლია. არადა, მას ისეთ ძლიერ გუნდებთან უწევდა თამაში, როგორებიც გონზაგა, ქსავიერი, პერდიუ, ნოტრ დამი, ნებრასკა, მიჩიგან სტეიტი, მერილენდი, მიჩიგანი, მინესოტა, ჯორჯთაუნი და სხვები არიან. ბიგ 10-ის კონფერენცია ერთ-ერთი უძლიერესია ამერიკის სტუდენტურ ლიგაში, სადაც დიდი ისტორიისა და რეპუტაციის გუნდები თამაშობენ.

ბეჟანიშვილი 206 სანტიმეტრია, რომელიც ფარქვეშ ძალისმიერი თამაშით ფონს იოლად გადის. აქვს რბილი მაჯა და ხშირად მიმართავს ე.წ. ლიფსო-სროლებს. ქულების უმეტესობას სამწამიანი ზონიდან აგროვებს, რისთვისაც მეტოქის მაღლებთან კონტაქტში შესვლა ხშირად უხდება და ძალისმიერ ორთაბრძოლებში უმეტესად გამარჯვებული გამოდის. გასულ მატჩამდე ბეჟანიშვილის საამსეზონო რეკორდი 22 ქულა გახლდათ, რაც ქართველმა ფორვარდმა რატჯერსთან ერთბაშად 13 ქულით გაუმჯობესა. გიორგიმ 18-დან 14 ორქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. 35 ქულასთან ერთად ბეჟანიშვილმა 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

35-დან 29 ქულა ბეჟანიშვილმა მეორე ნახევარში და ოვერტაიმში ჩააგდო. ქართველმა ახალგაზრდამ დამატებით დროში ზუსტი საჯარიმო სროლით მასპინძლები 93:92 დააწინაურა, შემდეგ კი ორქულიანით ანგარიში 95:92 გახადა, ხოლო ბოლო წუთზე პერიმეტრზე უმნიშვნელოვანესი დაფარება მიითვალა.

მატჩის შემდეგ ილინოისელთა მწვრთნელმა ბრედ ანდერვუდმა ქართველი ფორვარდი დიდად აქო:



– უბრალოდ ბურთს ჩვენს მაღალ ბიჭზე ვუშვებდით. მან კი თავის მხრებით გვატარა და მე-2 ტაიმში 29 ქულა ჩააგდო. შეუძლებელია, გიორგი არ გიყვარდეს, მისი მიზანსწრაფულობა და თავდაჯერებულობა. ბეჟანიშვილის შესაძლებლობები და აიქიუ მაშინათვე ვიცოდით, როდესაც ჩვენთან ვეპატიჟებოდით. ის ფეხებზე საოცრად დგას. ცეკვის გაკვეთილებს უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია.

თავად გიორგი ნამატჩევს გახარებული იყო და ხუმრობის ხასიათზეც იდგა:

– ასე მაგრად როგორ ვითამაშე? საქმე ის გახლავთ, რომ მატჩამდე ბევრი პოპკორნი შევჭამე. თქვენ გიყვართ პოპკორნი? მატჩამდე მას მივირთმევ და ეს ენერგიას მმატებს. ალბათ, ახლაც ამის შედეგი იყო... სერიოზულად კი, ყველაფერი ოჯახის დამსახურებაა, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. მცირე ოჯახი მყავს და მის წევრებს ვაღმერთებ. ბოლო მატჩებს ჩემი ძმა დავითი ესწრებოდა და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ყველა მათგანი მოვიგეთ.

5 მოგებითა და 8 მარცხით ილინოის ფაითინ ილინი 14-გუნდიან ბიგ 10-ის კონფერენციაში მე-9 ადგილზეა. შემდეგი მატჩი ილინოისელებს სტუმრად ოჰაიო სტეიტთან ელით.

დავრჩეთ ამერიკაში: სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა ამერიკის სტუდენტური ლიგის ბიგ ისტის კონფერენციაში გამარჯვება იზეიმა, ქართველ ფორვარდს კი ორმაგ დუბლამდე 4 ქულა დააკლდა. სეტონჰოლელებმა კრეიტონს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში – 63:58 დაამარცხეს.

მამუკელაშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 31 წუთში 6 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა. სანდრომ 3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

5 მოგებითა და 6 მარცხით სეტონ ჰოლი კონფერენციაში 3-7 ადგილებს იყოფს. შემდეგი მატჩი მამუკელაშვილის გუნდს ჯორჯთაუნთან ელის.

გადმოვინაცვლოთ ესპანეთში: გიორგი შერმადინის უნიკახამ დაძაბულ ბრძოლაში, მატჩის ბოლო წამზე შესრულებული ზუსტი ორქულიანით მანრესა 99:97 დაამარცხა. ესპანეთის ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩი მალაგელებისთვის საკმაოდ დაძაბული და რთული აღმოჩნდა, თუმცა საბოლოოდ ლამაზი გამარჯვებით უნიკახამ საკუთარ გულშემატკივრებს დიდი სიხარული აჩუქა.

გამარჯვებაში უდიდესია ქართველი ცენტრის წვლილი. შერმადინმა 21 წუთი ითამაშა. ეს მცირე დრო საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ორივე გუნდის რიგებში გამორჩეული ყოფილიყო. გიორგიმ საკუთარ გუნდს 19 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი შესძინა. ჩვენებურმა 8-დან 7 ორქულიანი და 8-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 27-ს გაუტოლდა და ეს უნიკახას რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა. ჩვენებური მარგი ქმედების კოეფიციენტითა და ჩაგდებული ქულებით მხოლოდ მანრესას წევრ რაიან ტულსონს ჩამორჩა, რომელმაც 30 ქულა დააგროვა, რითიც მარგი ქმედების კოეფიციენტი 31-ს გაუტოლდა.

უნიკახას 20 შეხვედრაში 13 გამარჯვების საპირწონედ 7 მარცხი აქვს და მე-4 ადგილზე იმყოფება. მალაგელები მომდევნო ტურში სტუმრად ბასკონიას გაეჯიბრებიან.

ბექა ბურჯანაძი გიპუზკოამ, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის აუტსაიდერია, ნანატრი გამარჯვება მოიპოვა და რაც მთავარია, გამარჯვებაში ლომის წილი ქართველმა ფორვარდმა დაიდო. ბურჯანაძემ სანსებასტიანელებს 17 ქულა მიაშველა და მოედანზე მყოფთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გიპუზკოას ზედიზედ 7 მატჩი ჰქონდა წაგებული და ნავსი გასულ ტურში – სტუმრად გრან კანარიასთან გატეხა. აღსანიშნავია, რომ ბურჯანაძის გუნდი დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა, თუმცა, ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო, დასკვნით მეოთხედში მეტოქე 28:13 გაანადგურა და საბოლოოდ 90:85 მოიგო.

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში გახლდათ და 31 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 5-ვე საჯარიმო ჩააგდო, შედეგად, ბურჯანაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა, მასზე შედეგიანად კი მხოლოდ ბლაგოტა სეკულიჩი (20 ქულა) და გარეტ ნეველსი (18) გაისარჯნენ.

აღსანიშნავია, რომ გიპუზკოას 20 ტურში მხოლოდ მე-4 მოგება მოუგროვდა და აქედან 2 ევროლიგის მონაწილე გრან კანარიასთან აქვს. ქართველი კალათბურთელის გუნდი ბოლო ადგილზე რჩება, თუმცა, მურსიას მხოლოდ 1 გამარჯვებით ჩამორჩება. გიპუზკოა მომდევნო მატჩს შინ, ვალენსიასთან ჩაატარებს.

ესპანეთშივე, ოღონდ დაბალ დივიზიონში ლუკა ბულაშვილმა მორიგი წარმატებული მატჩი ჩაატარა. კულერედომ ბოლო ტურში როსალია 87:42 გაანადგურა. ბულაშვილი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 27 წუთში 8-დან 4 ორქულიანი, 10-დან 4 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ქართველ ლეგიონერს აქტივში 4 მოხსნა, 8 პასი და 5 ჩაჭრაც ჰქონდა, შედეგად, ლუკას სარგებლიანობის კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა და ის მხოლოდ ამერიკელ ტრევინ ვუდსს ჩამორჩა, რომელმაც 21 ქულას 11 მოხსნა წაამატა.

კულერედოს 11 მოგება და 5 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი სტუმრად, აუტსაიდერ ლეკლერკთან ჩაატარებს.

ამავე ლიგაში ასპარეზობს ჩვენი ეროვნული გუნდის 17 წლის წევრი რატი ანდრონიკაშვილი, რომლის მირაპლორესმა სტუმრად სანტურცისთან მარცხი განიცადა – 67:71. ანდრონიკაშვილმა 2 წუთში ორქულიანი ააცილა და აქტივში 2 მოხსნა და 2 პასი ჰქონდა.

9 მოგებითა და 7 მარცხით მირაფლორესი მე-7 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი შინ, პას პიელაგოსთან გამართავს.

სამწუხარო ამბავი ბალკანეთიდან: ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში გოგა ბითაძემ ტრავმა მიიღო. ამ ეტაპისთვის უცნობია, რამდენად სერიოზულია მისი მდგომარეობა. გოგასთვის უიღბლო მომენტი ბელგრადში, პარტიზანთან მატჩის დრო მოხდა.

გოგა ბურთის მოხსნისთვის იბრძოდა, როდესაც დახტომისას ფეხი უხერხულად დადგა და სათადარიგოთა სკამზე კოჭლობით გადაინაცვლა. ქართველმა ცენტრმა მხოლოდ 3:22 წუთი ითამაშა და 2 ქულასთან ერთად აქტივში 2 მოხსნაც ჰქონდა.

ბუდუჩნოსტმა მატჩი 67:76 წა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

10 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ტოტენჰემი-ლესტერი 3:1
სიტი-ჩელსი 6:0

საუკეთესო ცხრილი:

1.სიტი	27	21	2	4	74-20	65
2.ლივერპული	26	20	5	1	59-15	65
3.ტოტენჰემი	26	20	0	6	54-25	60
4.მანჩესტერი	26	15	6	5	52-35	51
5.არსენალი	26	15	5	6	53-37	50
6.ჩელსი	26	15	5	6	45-29	50
7.ვოლვზი	25	11	5	9	33-32	38
8.უოტფორდი	26	10	7	9	34-34	37
9.ევერტონი	27	9	6	12	36-39	33
10.ვესტ ჰემი	26	9	6	11	32-39	33
11.ბორნმუთი	26	10	3	13	37-47	33
12.ლესტერი	26	9	5	12	31-34	32
13.კრ.პალასი	26	7	6	13	27-34	27
14.ბტაიტონი	26	7	6	13	28-39	27
15.ბარნლი	26	7	6	13	29-47	27
16.კარდიფი	26	7	4	15	24-47	25
17.ნიუკასლი	25	6	6	13	21-33	24
18.საუთჰემპტონი	26	5	9	12	28-44	24
19.ფულემი	26	4	5	17	25-58	17
20.ჰადერსფილდი	26	2	5	19	14-48	11

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ნორვიჩი-იფსვიჩი 3:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლეგანესი-ბეტისი 3:0
ვალენსია-სოსიედადი 0:0
სევილია-ეიბარი 2:2
ბილბაო-ბარსელონა 0:0

საუკეთესო ცხრილი:

1.ბარსელონა	23	15	6	2	60-23	51
2.რეალი	23	14	3	6	40-27	45
3.ატლეტიკო	23	12	8	3	33-17	44
4.სევილია	23	10	7	6	38-25	37
5.ხეტაფე	23	9	8	6	28-19	35
6.ბეტისი	23	9	5	9	26-29	32
7.ალავესი	22	9	5	8	22-27	32
8.ვალენსია	23	6	13	4	24-20	31
9.სოსიედადი	23	8	7	8	27-25	31
10.ეიბარი	23	7	9	7	31-32	30
11.ლეგანესი	23	7	8	8	25-27	29
12.ესპანიოლი	23	8	4	11	27-37	28
13.ბილბაო	23	5	12	6	23-28	27
14.ლევანტე	22	7	6	9	32-40	27
15.ვალიადოლიდი	23	6	8	9	19-28	26
16.ხირონა	23	5	9	9	23-33	24
17.სელტა	23	6	6	11	35-39	24
18.რაიო	23	6	5	12	27-40	23
19.ვილიარეალი	23	3	11	9	23-31	20
20.უესკა	23	4	6	13	23-39	18

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-კადისი 1:2
ალბასეტე-მალიორკა 2:0
ალმერია-ნუმანსია 1:0
გრანადა-დეპორტივო 0:1
მალაგა-ლას პალმასი 0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-აუგსბურგი 4:0
ფორტუნა-შტუტგარტი 3:0

საუკეთესო ცხრილი:

1.დორტმუნდი	21	15	5	1	54-23	50
2.ბაიერნი	21	14	3	4	47-24	45
3.გლადბახი	21	13	3	5	41-21	42
4.ლაიფციგი	21	11	5	5	38-18	38
5.აინტრახტი	21	9	6	6	40-27	33
6.ლევერკუზენი	21	10	3	8	37-32	33
7.ვოლფსბურგი	21	9	5	7	32-30	32
8.ჰერტა	21	8	7	6	34-31	31
9.ჰოფენჰაიმი	21	7	9	5	41-32	30
10.ვერდერი	21	8	6	7	36-32	30
11.მაინცი	21	7	6	8	23-33	27
12.ფორტუნა	21	7	4	10	25-39	25
13.ფრაიბურგი	21	5	8	8	29-37	23
14.შალკე	21	6	4	11	25-32	22
15.აუგსბურგი	21	4	6	11	29-37	18
16.შტუტგარტი	21	4	3	14	17-47	15
17.ჰანოვერი	21	3	5	13	20-44	14
18.ნიურნბერგი	21	2	6	13	17-46	12

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დარმშტადი-ჰაიდენჰაიმი 1:2
მაგდებურგი-კილი 1:1
აუე-ინგოლშტადი 0:3

იტალია. სერია ა

ბოლონია-ჯენოა 1:1
ატალანტა-სპალი 2:1
სამპდორია-ფროზინონე 0:1
ტორინო-უდინეზე 1:0
სასუოლო-იუვენტუსი 0:3
მილანი-კალიარი 3:0

საუკეთესო ცხრილი:

1.იუვენტუსი	23	20	3	0	49-15	63
2.ნაპოლი	23	16	4	3	42-18	52
3.ინტერი	23	13	4	6	32-16	43
4.მილანი	23	10	9	4	32-21	39
5.ატალანტა	23	11	5	7	50-31	38
6.რომა	23	10	8	5	44-30	38
7.ლაციო	23	11	5	7	32-25	38
8.ტორინო	23	8	10	5	28-22	34
9.სამპდორია	23	9	6	8	39-30	33
10.ფიორენტინა	23	7	11	5	33-25	32
11.სასუოლო	23	7	9	7	34-36	30
12.პარმა	23	8	5	10	24-31	29
13.ჯენოა	23	6	7	10	30-40	25
14.სპალი	23	5	7	11	20-32	22
15.კალიარი	23	4	9	10	19-34	21
16.უდინეზე	23	4	7	12	18-31	19
17.ბოლონია	23	3	9	11	18-35	18
18.ემპოლი	23	4	6	13	27-45	18
19.ფროზინონე	23	3	7	13	17-43	16
20.კიევო	23	1	9	13	19-47	9

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ლივორნო-კოზენცა 2:0
ფოჯა-პესკარა 1:1
ვერონა-კროტონე 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონპელიე-მონაკო 2:2
ნანტი-ნიმი 2:4
ტულუზა-რეიმსი 1:1
გენგამი-ლილი 0:2
რენი-სტ.ეტიენი 3:0
ნიცა-ლიონი 1:0

საუკეთესო ცხრილი:

1.პსჟ	22	19	2	1	68-13	59
2.ლილი	24	15	4	5	42-22	49
3.ლიონი	24	12	7	5	38-27	43
4.მონპელიე	23	9	10	4	31-19	37
5.მარსელი	24	11	4	9	38-34	37
6.სტ.ეტიენი	23	10	7	6	33-29	37
7.ნიცა	24	10	7	7	19-23	37
8.რენი	24	10	6	8	34-31	36
9.სტრასბური	23	9	8	6	39-27	35
10.რეიმსი	24	8	11	5	21-22	35
11.ნიმი	24	9	6	9	35-35	33
12.ანჟე	24	7	9	8	26-28	30
13.ბორდო	23	7	7	9	23-25	28
14.ტულუზა	24	6	9	9	23-34	27
15.ნანტი	23	6	6	11	29-33	24
16.ამიენი	24	6	3	15	19-38	21
17.დიჟონი	23	5	5	13	20-36	20
18.მონაკო	24	4	7	13	23-41	19
19.კაენი	23	3	9	11	20-32	18
20.გენგამი	23	3	5	15	16-48	14

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

სიტარდი-ექსელსიორი 4:1
გრონინგენი-ვიტესი 2:1
ემენი-დენ ჰააგი 3:2
უტრეხტი-პსვ 2:2

ჰოლანდია. პრიმერა ლიგა

ბოავიშტა-სანტა კლარა 1:0
ბრაგა-შავიში 2:1
ბენფიკა-ნასიონალი 10:0
ფეირენშე-სპორტინგი 1:3

შვეიცარია. სუპერლიგა

ქსამაქსი-ლუცერნი 2:1
სიონი-ლუგანო 2:2
თუნი-იანგ ბოიზი 1:1

ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-ბრიუგე 2:2
ანდრლეხტი-ვარეგემი 0:0
გენტი-მუსკრონი 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-ოფი 1:0
ატრომიტოსი-ლევადიაკოსი 1:0
პაოკი-ოლიმპიაკოსი 3:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქონია-მალათია 1:1
გიოზთეფე-ალანია 3:2
გალათასარაი-ტრაბზონი 3:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

სპარტა-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

არკა-კორონა 1:2
პლოცკი-ლეგია 0:1

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ჰორსენსი 0:0
ოლბორგი-რანდერსი 0:3

რანდერსის მე-2 გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

ნორდსიელანდი-ბრონდბიუ 3:3
კოპენჰაგენი-ოდენსე 6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლიპარტელიანმა პარიზი მესამედ მოიგო

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების კაპიტანი ვარლამ ლიპარტელიანი (100 კგ.) პარიზის გრანდ სლემის გამარჯვებული მესამედ გახდა.

ქართველმა ძიუდოისტმა პრესტიჟული ტურნირის ფინალში იაპონელი აარონ ვულფი ვაზარით დაამარცხა და მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატის ფინალში მარცხისთვის რევანში აიღო.

ოქროსკენ მიმავალ გზაზე ლიპარტელიანმა 4 გამარჯვება იზეიმა: ჯერ ტაილანდელი ვეი პუიანგი ვაზარით დაჯაბნა, შემდეგ ბულგარელი დანიელ დიჩევი იპონზე დასცა,

მეოთხედფინალში ფრანგ ალექსანდრე იდირს ვაზარით აჯობა, ხოლო ნახევარფინალში სამხრეთკორეელ გუჰამ ჩოსთან კი ვაზარით აგებდა, თუმცა, წუთით ადრე, გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონი იპონზე დააგდო.

ამ ტურნირზე ლიპარტელიანის ოქროს გარდა ქართულმა დელეგაციამ კიდევ 3 მედალი მოიპოვა.

ვაჟა მარგველაშვილმა (66კგ) ფინალური ორთაბრძოლა მოლდოველ დენის ვიერუსთან იპონით დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ჩვენებურმა მანამდე ჩინებულად იჭიდავა და გზიდან ფრანგი კევინ აზემა, იტალიელი მატეო მედვესი, გერმანელი სებასტიან სეიდლი და ებრაელი ბარუხ შმაილოვი ჩამოიცილა.

60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა თემურ ნოზაძემ. ქართველმა ძიუდოისტმა ესპანელი ფრანსისკო გარიგოსი, ფრანგი ვინსენ ლიმარი და ეკვადორელი ლენინ პრესიადო დაჯაბნა, ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ იაპონელ ნაოჰისა ტაკატოსთან დამარცხდა, ხოლო მე-3 ადგილისთვის ორთაბრძოლაში ისრაელის წარმომადგენელ დანიელ ბენ დავიდს აჯობა.

ბრინჯაო დაისაკუთრა ოლიმპიური თამაშების ორგზის მედალოსანმა ლაშა შავდათუაშვილმაც (73კგ). ქართველმა ძიუდოისტმა მეოთხედფინალამდე არაბეთის გაერთიანებული საამიროების წარმომადგენელ ვიკტორ სკვორცოვსა და ბერძენ გეორგიოს აზოიდისს მოუგო, შემდეგ კი, მონღოლ ცოგბაატარ ცენდ-ოჩირთან წააგო. რეპეშაჟში ლაშამ სომეხ ფერდინანდ კარაპეტიანს სძლია, გადამწყვეტ შერკინებაში კი მას აზერბაიჯანელი ჰიდაიატ ჰეიდაროვი არ გამოუცხადდა.

პარიზშივე უშედეგოდ იასპარეზეს ჯაბა პაპინაშვილმა (60), ნიკო ჭიკაიძემ (66), კობა მჭედლიშვილმა (81), ლაშა ტაველურმა (100), ონისე ბუღაძემ და გიორგი ზაქარიაძემ (+100).

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ლაშა ტალახაძე მსოფლიოს საუკეთესო ძალოსანია

ქართველი სპორტსმენი ლაშა ტალახაძე მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნის ტიტულს მეორედ დაეუფლა! შეგახსენებთ, რომ აღნიშნული წოდება მას 2017 წელსაც ერგო.

ჩვენებურს პლანეტის საუკეთესოს ტიტული მას შემდეგ ერგო, რაც ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდზე გამოკითხვა ჩატარდა. შედეგად ტალახაძემ 17.800 ხმა მოაგროვა და დიდი უპირატესობით გაასწრო მეორე ადგილზე გასულ ირანელ სოჰრაბ მორადისა და მესამე ადგილისან ინდონეზიელ ეკო იული ირავანის.

ქალთა შორის საუკეთესოდ 13.000 ხმით კვლავ ესპანელი ლიდია ვალენტინი დასახელდა.

გამოკითხვაში 30.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

თედო აბჟანდაძე კარიერას საფრანგეთში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრებისა და ქუთაისის აიას მგეზავმა თედო აბჟანდაძემ პრო დე 2-ის ერთ-ერთ ლიდერ ბრივთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალ სეზონს ფრანგულ ელიტაში დაიწყებს.

19 წლის მორაგბემ სახელი 2017 და 2018 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატებზე გაითქვა. შარშან ნოემბერში მას მილთონ ჰეიგმა უხმო და აბჟანდაძემ სამოასა და ტონგასთან მოგებულ შეხვედრებში სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, ცოტა ხნის წინ კი, ნაკრებთან ერთად მესამე გამარჯვება იზეიმა, როდესაც კლუჟში რუმინეთი 18:9 დაამარცხა.

თედო მიმდინარე სეზონს ქუთაისის აიაში დაასრულებს და ახალ გუნდს ზაფხულში შეუერთდება. ბრივში მას 6 ქართველი დახვდება: კარლენ ასიეშვილი, ვასილ ლობჟანიძე, ოთარ გიორგაძე, სოსო ბეკოშვილი, ლუკა გოგინავა და ლუკა ჯაფარიძე. 20 ტურის შემდეგ, ბრივი 57 ქულით მეოთხე ადგილზეა, ლიდერ ნევერს 7 ქულით ჩამორჩება და ტოპ 14-ში აღზევებისთვის იბრძვის.

თედო აბჟანდაძე:

– გახარებული ვარ, ასეთი მაღალი დონის გუნდი რომ გამომიჩნდა. ბრივს მომავალი სეზონიდან შევუერთდები და ჩემი შესაძლებლობების დამტკიცებას ვეცდები. კონტრაქტი „ესპუარებისაა“, თუმცა უკვე ვიცი, რომ პირველ გუნდთან ერთად ვივარჯიშებ. შევეცდები უმოკლეს ვადებში შევისწავლო ფრანგული ენა, რათა ამან თამაშში არ შემიშალოს ხელი. კლუბში შემპირდნენ, რომ ფრანგულის მასწავლებელს ამიყვანენ, თუმცა მე სწავლას ახლავე დავიწყებ, რათა იქ ჩასულს გარკვეული საფუძველი მქონდეს. გუნდში 6 ქართველი დამხვდება და ისინი ადაპტირებას გამიადვილებენ. ყოველ შემთხვევაში, ისე ნამდვილად არ გამიჭირდება, როგორც ირლანდიაში.

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ბეჟანიშვილის რეკორდი, ბითაძის ტრავმა

აგო და ახლა 13 მოგებითა და 6 მარცხით ცხრილში 2-3 ადგილებს სწორედ პარტიზანთან ინაწილებს. შემდეგ ტურში, ბუდუჩნოსტი პოდგორიცეში ხორვატულ ზადარს უმასპინძლებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრ დუდა სანაძეს პოლონურ კლუბში მოგება ჯერ არ მოუპოვებია. მისი კლუბი რადომი მორიგ ტურში სოპოტს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში – 93:97 წააგო. რაც პოლონეთში გადავიდა, სანაძისთვის ეს მისი გუნდის მე-5 მატჩი წარუმატებელი მატჩი გახლდათ. 5 მოგებით და 14 მარცხით რადომელები 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-12 ადგილზე არიან.

სოპოტთან მატჩში ქართველი ლეგიონერი სასტარტო ხუთეულში იყო და 25 წუთში 3 ქულა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. დუდამ 3-დან 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი აა-ცილა.

რადომი მორიგი მეტოქე მე-2 ადგილზე მყოფი ტორუნი იქნება.

ძაღლებმა მეზობლები ავადმყოფ პატრონთან მიიყვანეს და გადაარჩინეს

ამერიკის ფლორიდის შტატში ლაბრადორის ჯიშის ძაღლებმა ბელამ და სედიმ მეზობლები თავიანთ ავადმყოფ პატრონთან მიიყვანეს და გადაარჩინეს.

მორინ ჰეტჩერი სახლში იმყოფებოდა, როდესაც მოულოდნელად თავი შეუძლოდ იგრძნო.

– მახსოვს, ჩემთან მოირბინა სედიმ და მე მას ვუთხარი, რომ დედიკოს დახმარება სჭირდება. ამის შემდეგ ორივე ძაღლი გაიქცა, – იხსენებს ჰეტჩერი.

სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ გარბის ორი ლაბრადორის ჯიშის ძაღლი ქუჩის მეორე მხარეს. მეზობლები მაშინვე გამოჰყვნენ ძაღლებს ჰეტჩერთან და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს.

საავადმყოფოში ქალს ინსულტი დაუდგინეს და აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

– ინსულტის დროს ყოველი წუთი მნიშვნელოვანია, – ამბობს ექიმი ნიმა აგაებრაჰიმი.

მოგვიანებით მომხდარის დეტალების გახსენების დროს ჰეტჩერი ვერ ხსნიდა იმ ფაქტს, თუ როგორ მოახერხეს მისმა ძაღლებმა სახლიდან დამოუკიდებლად გასვლა. მისი თქმით, სახლის კარი ავტომატურად იკეტება. ქალი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, იმ დღეს კარი შეღებული დარჩა, რამაც ძაღლებს გარეთ გასვლის საშუალება მისცა.

ფასტფუდზე უარის თქმის შემდეგ გოგონამ წონაში ორჯერ დაიკლო

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის მკვიდრმა მოახერხა, ფასტფუდზე საკუთარი დამოკიდებულება დაეძლია და ამის შედეგად წონაში 82,5 კილოგრამი დაიკლო.

ალიშა მაკნეირმა ზედმეტი წონა სკოლაში სწავლის დროს დააგროვა. ის გახდომაზე ოცნებობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, დიეტა დაეცვა. თანატოლების მხრიდან მუდმივად დაცინვის გამო ის იძულებული გახდა, სკოლა 14 წლის ასაკში მიეტოვებინა.

ის წონაში მატებას მანამდე აგრძელებდა, სანამ 172 კილოგრამს არ მიაღწია.

– სულელური ჩვევა მქონდა, საჭმელს სწრაფი კვების ობიექტებში ვიძენდი. ხშირად ხუთ სხვადასხვა დაწესებულებაში შევდიოდი, რათა ერთ ჯერზე შესაჭმელი კერძები შემეგროვებინა, – იხსენებს მაკნეირი.

როდესაც გოგონა 17 წლის იყო, კინაღამ გაზიანი სასმელით გაიგუდა.

– როდესაც ამოსუნთქვას ვცდილობდი, მივხვდი, რომ მხოლოდ ორი გზა მრჩებოდა: ან შევიცვლებოდი, ან მოვკვდებოდი, – ამბობს მაკნეირი. თავდაპირველად ის ცდილობდა, მეტი ევლო და საკუთარი კვებისთვის გადაეხედა, შემდეგ კი ფასტფუდზე საერთოდ უარი თქვა და სავარჯიშო დარბაზში დაიწყო სიარული.

მას შემდეგ გოგონამ წონაში 82,5 კილოგრამი დაიკლო, ფიტნესმა გაიტაცა და აპირებს, პერსონალური მწვრთნელი გახდეს.

ქალი, რომელსაც ექიმებმა შეცდომით ორივე თირკმელი ამოჰკვეთეს, გარდაიცვალა

ამერიკის კოლორადოს შტატის მკვიდრი ქალბატონი, რომელსაც ექიმებმა არასწორად დასმული დიაგნოზის გამო შეცდომით ორივე თირკმელი ამოჰკვეთეს, გარდაიცვალა.

ქალაქ ენგლვუდის მცხოვრები 73 წლის ლინდა ვული საავადმყოფოში 2018 წლის მარტში აღმოჩნდა. ექიმები ეჭვობდნენ, რომ მას კიბო ჰქონდა. მაისში ქალს ოპერაცია გაუკეთდა და ორივე თირკმელი ამოჰკვეთეს. მხოლოდ ამის შემდეგ აღიარეს ექიმებმა შეცდომა. პაციენტს ავთვისებიანი სიმსივნე არ აღმოაჩნდა.

თავად ვულის თქმით, ოპერაციის შემდეგ მისი ცხოვრება ტანჯვად იქცა. მან საკუთარი უფლებების დასაცავად ადვოკატი დაიქირავა. გასული წლის ნოემბერში ვულმა იმედი გამოთქვა, რომ ექიმები მისთვის ჯანმრთელი თირკმლის გადანერგვას შეძლებდნენ და გადაწყვიტა, საკუთარი ისტორია გაეხმაურებინა, რათა ამით მომავალში მსგავსი შემთხვევების გამეორებისგან სხვა ადამიანები დაეცვა. სამწუხაროდ, ვული ოპერაციიდან რვა თვის შემდეგ, რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 თებერვლისთვის

ვერძი – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა. **კურო** – გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუმცა სულ მალე მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – წარმატებული დღეა. თქვენს შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – ეჭვიანობა უკუაგდეთ და ირწმუნეთ საკუთარი თავის. თამამად გარისკეთ. **ლომი** – დაგროვილი უარყოფითი ემოციებისგან თავისუფლდებით. გელით საინტერესო ცვლილებები. **ქალწული** – მორალურ პრინციპებს არ უღალატოთ. დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეთ. **სასწორი** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. წარსულში დაშვებული შეცდომები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებისთვის მოემზადეთ. არასაჭირო კავშირებისაგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. საქმისადმი ერთგულება და პრინციპულობა დადებით შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** – ძველი მეგობრების მონატრება ძლიერია. ნუ გადადებთ მათთან ვიზიტს. ილუზიებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – პლანეტები გწყალობენ. გარშემომყოფებს გულითადად მოეპყარით და ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **თევზები** – საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის იღბლიანი პერიოდია. პარტნიორული ურთიერთობები ნაყოფიერი იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ

შვეულად: 1. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 2. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი; 3. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 4. იაპონური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 5. ფრანგული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია; 6. აფრიკული მოლაპარაკე თუთიყუში; 7. ახალი ზელანდიის აღმომჩენი ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 10. მატარებლების სადგომი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 12. ლოკომოტივების სადგომი სახელწოდება; 13. რაიონული ცენტრი იმერეთში; 16. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 18. კვიპროსის დედაქალაქი; 19. გია დანელიას კინოკომედია; 21. მტაცებელი ფრინველი; 24. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა.

თარაზულად: 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 3. მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 8. უნივერსიტეტი მადრიდში; 9. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 14. მდინარე ბერლინში; 15. ზამბარიანი მოწყობილობა აკრობატული ხტომებისთვის; 17. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 20. გეომეტრიული ფიგურა; 22. ქეიფი, დროსტარება; 23. სველ კედელზე შესრულებული ნახატი; 25. უკრაინული ბორშჩი; 26. რძის პროდუქტი; 27. საცხენოსნო შეჯიბრება; 28. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ვიბრატო; 4. სატაცური; 7. კარმა; 9. პაიკი; 12. პილოტი; 13. ანონა; 14. ბრამსი; 17. ამპერი; 18. პენსილვანია; 19. სინდისი; 20. დატივი.

შვეულად: 1. ვაკე; 2. რომბი; 3. ომეგა; 4. სპიჩი; 5. ტარიგი; 6. რეპეტირი; 8. მონტგომერი; 10. კორპორანტი; 11. მასკარადი; 14. ბროლია; 15. ხაბაზი; 16. ლავრა.

სკანვორდის პასუხები:

1. სატირი; 2. იდო 3. ანალოგი; 4. მოსე; 5. იდიია; 6. სფინქსი; 7. ქრომი; 8. რქა; 9. ფრაუ; 10. მერქანი; 11. კარტახენა; 12. სირ; 13. ოთარ; 14. არა; 15. მაგალითი; 16. სოლ; 17. იოდი; 18. თამარიანი; 19. მარაო; 20. ნარ; 21. სან; 22. მათარა; 23. კოლიო; 24. აჯანი; 25. იენა; 26. რა; 27. პრევო; 28. მირკანი; 29. ბილიკი; 30. ილიკო; 31. კარავაჯო; 32. ოკარინა; 33. ექო.

სურათებზე: ჯენიფერ გარნერი; რობერტო კარლოსი.

კალეიდოსკოპი

ძაღლმა პატრონი დაიცვა და, მიუხედავად თავში დანის ჩარტყმისა, ცოცხალი გადარჩა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ძაღლმა საკუთარ თავზე მიიღო დანის დარტყმა, როდესაც პატრონს ბოროტმოქმედისგან იცავდა. საბედნიეროდ, ცხოველი გადარჩა.

აღნიშნული ინციდენტი ქვეყნის დედაქალაქის კეიპტაუნის გარეუბანში მოხდა. 40 წლის უმუშევარი ჯინო ვენსელი თავის გერმანულ ნაგაზთან, სახელად დიუკთან ერთად დარბოდა, როდესაც შენიშნა, რომ დანამომარჯვებული უცნობი მამაკაცი უახლოვდებოდა. ამ დროს ძაღლმა აგრესიულ უცნობს დაუღრინა, მან კი ძაღლს დანა თავში ჩაარტყა. თუმცა ამან დიუკი ვერ შეაჩერა, მან თავდამსხმელი გააგდო და მხოლოდ ამის შემდეგ დაეცა მიწაზე გონდაკარგული.

თავდაპირველად ვენსელს ეგონა, რომ ძაღლი მკვდარი იყო, თუმცა შემდეგ სუსტი გულისფეთქვა შენიშნა, მეგობარს დასახმარებლად დაურეკა და მათ ერთად წაიყვანეს ცხოველი ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის ოფისში. ვეტერინარებმა დიუკს ტკივილგამაყუჩებელი გაუკეთეს, დააძინეს და რენტგენი გადაუღეს. სურათმა აჩვენა, რომ თავის ქალაში შესული დანის პირი გაიღუნა და ტვინი არ იყო დაზიანებული.

ძაღლს ოპერაცია გაუკეთდა, დანა ამოაცალეს და ჭრილობაზე ნაკერები დაადეს. მეორე დღეს კი ცხოველისა და მისი პატრონის ემოციური შეხვედრა შედგა.

იაპონელები წმინდა ვალენტინის დღის ტრადიციას აუჯანყდნენ

იაპონელმა ქალებმა უარი თქვეს ტრადიციადქცეულ წმინდა ვალენტინის დღეს კოლეგა მამაკაცებისთვის შოკოლადის ჩუქებაზე. ბევრ მათგანს მათზე ათასობით იენის დახარჯვა უხდებოდათ იმისთვის, რათა თავიდან აეცილებინათ საყვედურები და შეურაცხყოფები.

იაპონიაში ეს ტრადიცია გირი choco-ს, ანუ „სავალდებულო შოკოლადი“ სახელითაა ცნობილი. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იაპონელი ქალების 60 პროცენტი 14 ივლისს შოკოლადს მხოლოდ საკუთარი თავისთვის იყიდის. 56 პროცენტზე მეტი მათი თავისი ოჯახის წევრებისთვის ჩუქებას აპირებს, 35 პროცენტი მეგობარი მამაკაცებისთვის და ამდენივემ გადაწყვიტა, რომ შოკოლადის ჩუქებით კოლეგა მამაკაცები გაახარონ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა კომპანიამ ეს ტრადიცია აკრძალა, რამაც ქალებს ერთგვარი შვება მისცა.

– აკრძალვამდე იმაზე თავის მტვრევა გვიწევდა, თუ როგორ და რამდენი დაგვეხარჯა ასეთ საჩუქრებზე, ვისთვის გვეჩუქებინა და ვისთვის არა. ასე რომ, შესანიშნავია, ასეთი იძულებითი კულტურა აღარ არსებობს, – განაცხადა ერთ-ერთი იაპონური კომპანიის თანამშრომელმა ქალმა.

ძაღლმა პატრონი კომიდან გამოიყვანა

დიდ ბრიტანეთში ძაღლი დაეხმარა თავის პატრონს კომიდან გამოსვლაში და თერაპიული ძაღლი გახდა.

2016 წელს 65 წლის ენდი სასი ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ საუთჰემპტონის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოჩნდა. მამაკაცს პნევმონიის მწვავე ფორმა ჰქონდა, რომელიც მას ქიმიოთერაპიის შემდეგ განუვითარდა. ექიმებმა ის ხელოვნური კომის მდგომარეობაში გადაიყვანეს.

როდესაც ავადმყოფობის კრიზისმა გადაიარა, ექიმებმა პალატაში მისი საყვარელი ძაღლის შეშვების გადაწყვეტილება მიიღეს. პუდელისა და შნაუცერის ნაჯვარს სახელად ტედი ჰქვია. ძაღლის ყეფის ხმაზე სასი გონს მოვიდა. ეს იმაზე სამი დღით ადრე მოხდა, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ.

ამის შემდეგ ექიმებმა ტედის უფლება მისცეს, რეგულარულად ინახულოს თავისი პატრონი. შედეგად სასი საავადმყოფოდან დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე გამოწერეს.

– ტედი შესანიშნავი ძაღლია, ის ჭკვიანი, ერთგული, მხიარული და მზრუნველია, მან, შეიძლება ითქვას, რომ პირველივე ნახვით დაიპყრო ჩემი გული, – განაცხადა ენდი სასმა და იქვე დაამატა, რომ ძაღლი ცხოველთა თავშესაფრიდან წამოიყვანა, რითიც მან ის გადაარჩინა, შემდეგ კი უკვე ტედი დაეხმარა მას.

პითონმა კენგურუ გადაყლაპა, მისი ნაშიერი კი გადარჩა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ორმა ბიოლოგმა, რომლებიც ველური ბუნების კვლევით არიან დაკავებულები, კენგურუ-ვალაბის ნაშიერი იმ დროს აღმოაჩინეს, როდესაც მის დედას პითონი ყლაპავდა. პატარა კენგურუ რეპტილიას ერთ ნაბიჯზეც არ შორდებოდა და, როგორც ჩანს, ისევ დედის ჩანთაში სურდა ჩაძრომა.

დენ და პოლ მაკ-კინლებს სახლის მახლობლად ვალაბის ნაშიერის ხმა შემოესმათ. ისინი, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ხმას გაჰყვნენ და თავს უზარმაზარ პითონს წაადგნენ, რომელიც კენგურუს გადასანსვლით იყო დაკავებული. პატარა ვალაბი კი ამას უყურებდა და ადგილიდან არ იძროდა.

– ჩვენ მივხვდით, რომ პატარა კენგურუს ისევ დედის ჩანთაში სურდა დაბრუნება. საფრთხეზე, რომელიც მას ემუქრებოდა, არ ფიქრობდა, თუმცა იმ მომენტიდან მისი დედისგან მხოლოდ უკანა კიდურები იყო დარჩენილი, რომელიც რეპტილიის პირიდან იყო გამოჩრილი, – განაცხადა დენმა.

მისი თქმით, პითონის სიგრძე ექვს მეტრს აღწევდა და ის ყველაზე დიდი გველი იყო მათ შორის, რომელიც კი მას ოდესმე შეხვედრია.

მაკ-კინლებმა პატარა კენგურუ თავისთან წაიყვანეს და ტრინკეტი დაარქვეს. ისინი მის ბუნებაში დაბრუნებას აპირებენ, როგორც კი საკმარისად წამოიზრდება და დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მაია ასათიანი ავადმყოფობის გამო გადაცემას არ შეწყვეტს

თოქ შოუ „პროფილის“ წამყვანი მაია ასათიანი რამდენიმე დღის წინ გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. ტელეწამყვანმა კლინიკა რამდენიმე დღეში დატოვა, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, მას მუშაობა აეკრძალა.

შოთო სიხარულიძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მაია ასათიანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გადაცემა „პროფილზე“ მუშაობს წყვეტდა და, შესაბამისად, „პროფილიც“ ეთერში აღარ გავიდოდა.

თუმცა შოთომ თავისი განცხადება უარყო და განაცხადა, რომ მაია ასათიანი სამსახურში დაბრუნდა და „პროფილიც“ ჩვეულ რეჟიმში გავა ეთერში:

– მაია ასათიანი სამსახურში დაბრუნდა და „პროფილიც“ შესაბამისად გავა ჩვეულ რეჟიმში ხუთშაბათობით. ჩემს ტკბილ ფორთოხალს, ყველაზე ძლიერ ქალს, საუკეთესო დედას... ღმერთს ვთხოვთ, დიდხანს გვყავდე....

ვიცი, რომ იმ ტკივილს ვერ შეგიმსუბუქებთ, რასაც გულით ატარებ, მინდა მოგეფერო იმ დიდი სიყვარულისთვის... შენ ძლიერი და განუმეორებელი ქალი ხარ... მიუხედავად ამხელა ტკივილისა, ყოველთვის მზად ხარ სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად. შენ ჩვენ გვჭირდები... მიყვარხარ მაიკუნა, ჩემო თბილო და ტკბილო...

ნიკოლოზ ხომასურიძე ეროვნულ კინოცენტრს უპირისპირდება

რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობას უპირისპირდება. ამის მიზეზი კინოცენტრის მიერ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის პირველი ტურის შედეგების გამოქვეყნება გახდა.

ნიკოლოზ ხომასურიძე:

– რა ვერ მორჩით ამ ერთ წრეზე ტრიალს. ამ სახელების გარდა სხვა რეჟისორები და პროდიუსერებიც ხომ არსებობენ ამ ქვეყანაში, რომლებსაც მინიმალური მხარდაჭერა მაინც სჭირდებათ კინოცენტრისგან. მორალის რაიმე ნიშანი ხომ უნდა არსებობდეს ამ ორგანიზაციაში.

ეს იყო ბოლო წვეთი და მე პირადად ვიწყებ ნამდვილ ბრძოლას ამ უსამართლობის წინააღმდეგ. ვისაც გაქვთ სურვილი და ასე თვლის, შევიკრიბოთ, გავერთიანდეთ და დავასრულოთ ეს მახინჯი და უსამართლო წარმონაქმნი, რომელსაც თანამედროვე კინოსაქმიანობასთან და მიდგომასთან არანაირი საერთო არ აქვს. ასეთი არაპროფესიონალური მიდგომებით ვერანაირად ვერ განვითარდება ქართული კინო.

ის მაინც თქვით, ვისგან გაქვთ დავალება, რომ ჩემს პროექტებზე ყოველთვის ნოლი მხარდაჭერა უნდა იყოს კინოცენტრისგან და თქვენ მიერ შერჩეული ჟიურისგან.

ირაკლი ფარჯიანის ნახატებს აყალბებენ

მხატვარ ირაკლი ფარჯიანის ნახატებს აყალბებენ. ამის შესახებ ინფორმაცია ირაკლი ფარჯიანის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა და მყიდველებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა:

– ძალიან გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამ პუბლიკაციას!

უკვე დიდი ხანია, რაც გავრცელებულია ირაკლის უამრავი ყალბი ნამუშევარი გაყიდვაში. რა თქმა უნდა, ამას ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდით და საკმაოდ დიდი ბაზაა შეგროვებული ამ კრიმინალში ჩართულ პერსონებზე, მაგრამ დღევანდელ დღეს უკვე ვთვლით საჭიროდ, ამ ყველაფერს დაესვას წერტილი და გადაეცეს ამ მიმართულებით მომუშავე კანონის დამცველ სტრუქტურას!

ყველაფერი მივიდა იმ დონეზე, რომ ირაკლის ყალბი ნამუშევრები მაიმარკეტ ჯი-ზე იყიდება. სასაცილოდ ჩანს, მაგრამ ფაქტია, არამარტო ამ ვებ პორტალზე შეგიძლიათ ნახოთ ყალბი ფარჯიანები. ამიტომ, სანამ ეს ყველაფერი კანონის დამცველების მიერ საბოლოოდ არ იქნება გამოძიებული, საზოგადოებას გვინდა ვთხოვოთ, ძალიან ფრთხილად იყოს შეძენის მომენტში.

საბედნიეროდ, არსებობენ არაჩვეულებრივი გალერეები, ხელოვნებათმცოდნეები და ბოლოს და ბოლოს ირაკლის ოჯახი, ვისაც შეგიძლიათ აზრი ჰკითხოთ. უამრავი ნამუშევრის ფოტო მოვიდა ჩვენამდე და ყველას ერთი და იგივე ვერსია აქვს „მამას მეგობარი იყო ირაკლი“, არ დაიჯეროთ! შეამოწმეთ!

მთელ ინფორმაციას ვერ გამოვაქვეყნებთ, ამას სხვა სტრუქტურა გააკეთებს და მე მგონი, უკვე დროა ბოლო მოეღოს არა მხოლოდ ირაკლის, არამედ ყველა ცნობილი ქართველი მხატვრის გაყალბების ეპოქას.

თამთა ჭელიძეს მანქანა დიდი ლოდით ჩაულეწეს

მომღერალ თამთა ჭელიძეს მანქანის ფანჯარა დიდი ლოდით ჩაულეწეს. შემთხვევა მის საცხოვრებელ კორპუსთან მოხდა:

– ჩემი საკუთარი სახლის წინ მანქანის ფანჯარა ჩამტვრეული დამხვდა დიდი ლოდით... ჩალეწა მთლიანად მძღოლის გვერდით ფანჯარა, არაფერია წაღებული.

გული მეტკინა... ყველამ იცის ჩემი მანქანა უბანში და ყველა მიცნობს და ნეტა ვინ იყო, თორემ ფანჯრის გაკეთებას რა უნდა...

ბევრი ფიქრის შედეგად ყველაფერს მივხვდი. ეს არ იყო ქურდობის მიზნით ჩალეწილი ფანჯარა, არც ჩემს გასამწარებლად. აქ სხვა რამეშია საქმე და ბევრი დამთხვევაა ამ სამი დღის განმავლობაში, ბევრი ფანჯარა ჩაილეწა და საქარე მინა! მიმხვედრი მიხვდება.

ხატია წერეთელმა ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ხატია წერეთელმა ახალი კლიპი გადაიღო.

„შენთან სექსი მაგარია“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

ხატიას ყოველი ახალი სიმღერა და ეკრანზე გამოჩენა ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობით სრულდება. მისი გულშემატკივრები თვლიან, რომ მომღერალი ყველა ნაბიჯს სწორად თვლის და არაჩვეულებრივ რეკლამას იკეთებს, კრიტიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ პოპულარობისთვის ქალმა ყველაფერი არ უნდა იკადრო.

ხატიას ახალ ვიდეორგოლში ბევრი თამამი სცენაა. ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოს კრიტიკის მიუხედავად, ათასობით ნახვა და გაზიარება აქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6461

ევრო — 2.9996

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4296

100 რუსული რუბლი — 4.0075

ამინდის პროგნოზი 12 თებერვლისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

5 თებერვლიდან

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მონტესუმას ასული



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 თებერვლიდან

სულხან საბა ორბელიანი

სიბრძნე სიცრუისა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 თებერვლიდან

გუსტავ ფლობერი

მადამ ბოვარი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

7 თებერვლიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ირლანდიის ზოოპარკიდან შიმპანზე გაიქცა

ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბელფასტის ზოოპარკში შიმპანზემ თავისი ვოლიერიდან თავის დაღწევა მოახერხა, რისთვისაც მან ხის მოტეხილი ტოტები გამოიყენა. ამ შემთხვევის ვიდეოზე გადაღება ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა მოასწრო.

მაიმუნის ვოლიერში ქარის მიერ მომტვრეული ხის რამდენიმე ტოტი ეყარა. ერთ-ერთი მათგანი შიმპანზემ კიბესავით გამოიყენა.

ზოოპარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ცხოველმა ვოლიერი მცირე ხნით დატოვა. იქვე ახლოს იმყოფებოდნენ დაწესებულების თანამშრომლები, რომლებმაც შიმპანზე უკანვე დააბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

გამომძიებელი დაზარალებულს ეკითხება:

– მითხარით, როგორ მიხვდით, რომ თქვენ ბინაში ვიღაც უცხო ადამიანი იმყოფებოდა?

– იცით რა, ჩვენ ოჯახში თავში უკნიდან სკამის ჩარტყმა მიღებული არაა!

●●●

ავტობუსში ორი ქალი ნასვამ მამაკაცს უყვირის:

– მე შენ გაჩვენებ!

– მე შენ მოგცემ...!

მამაკაცმა უსმინა, უსმინა და მერე ეუბნება:

– ლამაზებო, საყვარლებო, ვერ გადამიწყვეტია, რომელი თქვენგანი ავირჩიო...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მე შენ ძალიან მიყვარხარ!

– იცი რას ვფიქრობ? მართლა რომ გყვარებოდი, სხვას გაჰყვებოდი ცოლად.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ საინტერესო წარწერები წავიკითხე...

– რა წარწერები?

– „აქ იყო, ლევანი“, „აქ იყო გურამი“.

– მერე რა, ეგ ხომ ჩვეულებრივი წარწერებია, რა არის მათში საინტერესო?

– საკუთარ კარადაში ვკითხულობდი...

●●●

პლაჟზე ულამაზესი ქალი მზეს ეფიცხება. გამოიარა მეზღვაურმა, დაინახა და ეუბნება:

– მე ამ ნავმისადგომთან ღუზას სიამოვნებით ჩავუშვებდი!

ქალმა უარით გაისტუმრა. გამოიარა მფრინავმა და ეუბნება:

– ამ აეროდრომზე სიამოვნებით დავეშვებოდი!

ქალმა ისიც უარით გაისტუმრა. გამოიარა მძღოლმა და ეუბნება:

– ამ ავტოდრომზე რამდენიმე წრეს სიამოვნებით დავარტყამდი!

ქალმა გაუღიმა, გაეცნო და თავისთან დაპატიჟა. ისადილეს, დალიეს და შემდეგ საწოლს მიაშურეს. მძღოლი გადატრიალდა და დაიძინა. გაოგნებული ქალი ეკითხება:

– და აკი რამდენიმე წრეს დავარტყამ?

– ნასვამი საჭესთან არ ვჯდები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საუთჰემპტონის ფანებმა ემილიანო სალას დასცინეს



საუთჰემპტონისა და კარდიფის შეხვედრის დროს უსიამოვნო ფაქტი დაფიქსირდა. საუთჰემპტონის რამდენიმე გულშემატკივარმა დაღუპულ ემილიანო სალას დასცინა და თვითმფრინავის ჩამოვარდნის ჟესტიკულაცია გააკეთა.

ორი გულშემატკივარი პოლიციამ დააკავა და მათ საუთჰემპტონის სტადიონზე მისვლა სამუდამოდ აეკრძალათ. გარდა ამისა, გუნდმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც დაგმო მსგავსი საქციელი და კარდიფს ბოდიში მოუხადა.

ემილიანო სალას ცხედარი 6 თებერვალს იპოვეს. სალა და პილოტი დავიდ აიბოტსონი 21 იანვარს გაუჩინარდნენ, როდესაც მათმა თვითმფრინავმა დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია.

მანჩესტერ იუნაიტედი სოლსკიაერს ხანგრძლივ კონტრაქტს შესთავაზებს

ოლე გუნარ სოლსკიაერმა მანჩესტერ იუნაიტედში შესანიშნავი სტარტი აიღო და მან 11-დან 10 შეხვედრის მოგება შეძლო, რაც მანჩესტერის არც ერთ დამწყებ მწვრთნელს არ გაუკეთებია. ამის გამო უახლოეს დღეებში მანჩესტერ იუნაიტედის ხელმძღვანელობა სოლსკიაერს რამდენიმეწლიან კონტრაქტს შესთავაზებს და ნორვეგიელი მწვრთნელიც დათანხმდება, რადგან მან განაცხადა, რომ მანჩესტერში დიდხანს სურს დარჩენა.

ბევრი რამე ალბათ ჩემპიონთა ლიგაზეც იქნება დამოკიდებული, სადაც მანჩესტერ იუნაიტედი პსჟ-ს დაუპირისპირდება.

მაურისიო სარი შესაძლოა ჩელსიდან გაუშვან

ჩელსიმ მანჩესტერ სიტისთან გამანადგურებელი ანგარიშით მარცხი იწვნია 0:6 და ამის გამო შესაძლოა მაურისიო სარი თანამდებობიდან გაათავისუფლონ.

სარიმ გულშემატკივარს ასეთი წაგების გამო ბოდიში მოუხადა. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ არ გაუკვირდება, თუ სამსახურს დაკარგავს.

ჯერჯერობით ოფიციალურად არ მიდის საუბრები იმის შესახებ, რომ ჩელსი სარის გაათავისუფლებს, თუმცა შესაძლოა ეს სეზონის ბოლოს მოხდეს.

ჩელსიმ წლევანდელი სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო პერიოდში ლონდონელები არასტაბილურად ასპარეზობენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იურგენ კლოპი: „თუ ჩემპიონობა გვინდა, ყველა თამაში უნდა მოვიგოთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მანჩესტერ სიტი შესანიშნავ ფორმაშია და ჩემპიონობის მოპოვება რთული იქნება.

კლოპის აზრით, ამისთვის

საჭიროა ყველა შეხვედრაში გამარჯვება:

– მე ვუყურე სიტის თამაშს ჩელსისთან და თუ მათ ეს ფორმა შეინარჩუნეს, მათთან ჭიდილი ძალიან რთული იქნება. ჩვენ თითქმის ყველა თამაში უნდა მოვიგოთ და მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ სასურველ შედეგს. იმედია, ეს გამოგვივა – განაცხადა იურგენ კლოპმა.

რაკიტიჩით ინტერიც დაინტერესდა

ივან რაკიტიჩით მილანის ინტერიც დაინტერესდა, რომელიც მზად არის, ხორვატი ფეხბურთელის ტრანსფერში 90 მილიონი ევრო გადაიხადოს.

რაკიტიჩმა ჯერჯერობით ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს ხელი არ მოაწერა და შესაძლოა მან ზაფხულში გუნდი დატოვოს.

ინტერის გარდა, რაკიტიჩის შეძენა პსჟ-საც სურს, რომელიც მზად არის, 100 მილიონი გადაიხადოს.

ჯოსვორდი 3



შვეულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 2. ღვინის დანალექი; 3. პურეული მცენარე; 5. რძის პროდუქტი; 6. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი; 8. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 10. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. მოხეტიალე ცირკი; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

თარაზულად: 1. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 4. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 7. ორგანიზმის შემადგენელი უმარტივესი ერთეული; 9. ახლად ამოსული პურის ყანა; 11. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 12. პატარა ქირურგიული დანა; 13. საწერ მასალად გამოყენებული საგანგებოდ დამუშავებული ტყავი; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ბრიტანული არაყი; 19. მომავლის რწმენა; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა